გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№98 (993) 15 - 16 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი



გვ.8

საქართველოში ბავშვები და მოზრდილები სრულფასოვან პალიატიურ დახმარებას ვერ იღებენ

# ქანთარიას PRESS-ვერსია



„ოპოზიციაში აღარ ვართ, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლება და საუბრის იმავე ჟანრში წაყვანა არასწორია... ვინც ფიქრობს, ქანთარია პასიურიაო, გადაეცით, რომ აქტიური ვარ იმ დონეზე, რა დონეზეც საჭიროდ მიმაჩნია. ეს პასიურობა კი არა გონიერება მგონია. „გუგულები" ყველგან არიან, მათ შორის „ოცნებაშიც", მაგრამ პასუხს მხოლოდ საკუთარ თავზე ვაგებ"

## სად არის და რატომ აღარ აქტიურობს რეჟისორი პარლამენტარი

გვ.3

## ფინანსური დარღვევები ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და 55-მილიონიანი სანქცია



„ვერსიამ" აუდიტის სახელმწიფო სამსახურის სკანდალური დასკვნა მოიპოვა

გვ.5-6

## ტელესივრცეში კომპრომატების ომი იწყება



დააფინანსებს თუ არა დავით კეზერაშვილი ინტერნეტტელევიზიებს და რის სანაცვლოდ გამოუშვებენ ციხიდან ბაჩო ახალაიას

გვ.2

## თურქ და ფერეიდნელ ქართველებს სამშობლოდან იძულებით გადაადგილებულთა სტატუსს მიანიჭებენ

გვ.7

## „უგონშჩიკების" შურისძიება

როგორ იპარავდნენ თბილისში „კრიმინალების" მანქანებს

გვ.7

პატიმრის დღიური



## ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური 4 000 000 ლარით დაფინანსდა



რატომ გამოეყო სამსახური თავდაცვის სამინისტროს

გვ.5

# ტელესივრცეში კომპრომატების ომი იწყება




გიორგი იაშვილი

„თუ კედელზე დაკიდებული თოფი ერთხელ გაისვრის, ის მეორედაც აუცილებლად გავარდება"... — დღეს ისეთი ვითარებაა, სადაც კედელზე დაკიდებული თოფის როლში ის ფარული ჩანაწერებია, რომლებზეც ამბობენ, თითქოს განადგურდა. თითქოს იმიტომ, რომ რეალურად ყველამ იცის — ფარული ჩანაწერების დიდი ნაწილი საზღვარგარეთაა გატანილი, არცთუ მცირე ნაწილი კი აქვე, საქართველოში ტრიალებს. კადრების სერიოზული ნაწილი გლდანის 8 დაწესებულების იმჟამინდელ დირექტორს, ალექსანდრე მუხაძეს აქვს (რამდენიმე მობილურშიც ჰქონდა და თავისუფალ დროს ერთობა ხოლმე). სხვათა შორის, „ქილერას" (მუხაძის მეტსახელია) არსებობა ყველას მიავიწყდა. არადა, მას ფარულ ჩანაწერებთან ერთად ინფორმაციაც აქვს, როგორ იყენებდა წინა ხელისუფლება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მომსახურე პერსონალს ზონდერებად.

ჩანაწერები გატანილია რუსეთშიც და იქ მოღვაწე ქართველები არ მალავენ, რომ კომპრომატებს მალე ანახებენ საზოგადოებას. საუბარი არამხოლოდ ყოფილ, მოქმედ ხელისუფლებაზეც, უფრო კონკრეტულად კი, რამდენიმე მოქმედ მინისტრზეცაა.

თავის მხრივ იმუქრებიან ჟურნალისტები. ისინი, რომლებმაც წინა ხელისუფლების დროს თავი გადადეს, საფრთხის ქვეშ არამარტო საკუთარი, არამედ ოჯახის წევრთა სიცოცხლეც დააყენეს და დღეს აღარავის დასჭირდა. უფრო სწორად, მათ გამოყენებას ყოფილი ხელისუფლება ცდილობს. ეს ის შემთხვევაა, როცა მუსიკას ის უკვეთავს, ვინც ფულს იხდის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საკადრო პოლიტიკა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ატარებს. ძველი, ე.წ. პროფესიონალი კადრები თავს დიდად კომფორტულად ვერ გრძნობენ და მზად არიან, ძველ ბატონებს ემსახურონ, სანაცვლოდ კი სამომავლო სიკეთე სურთ. ამას წინ ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა თქვა, საკადრო პოლიტიკა ოჯახის წევრების დონეზე წყდება, ისეთი არაფერი კეთდება გამოვიდნენ და ხმამაღლა თქვან, თუ კეთდება, უნარი არ აქვთ, საზოგადოებას მიაწოდონ. არ მჯერა, რომ მერაბიშვილის, ახალაიას, კოდუასა და სხვათა ნათესავები ხელფასის გამო ამათ ბოლომდე გვერდში დაუდგებიან. უკვე ისეთი კომპრომატებია გატანილი განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურებიდან, ბომბის ეფექტი ექნებაო.

ბოლო დროს ძალიან მომრავლდა ე.წ. ინტერნეტტელევიზიები. ამ ტენდენციას ხელისუფლება მშვიდად უყურებს. იმას არავინ ამბობს, რომ კომპიუტერსმიჯაჭვული საზოგადოება, სწორედ მათი მომხმარებელია და კარგად მიწოდებული რეკლამის შემთხვევაში, ამ ტელევიზიებს მაყურებელი აშკარად არ მოაკლდება. თანაც, ყველა ტელევიზიის უკან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები თუ სახელები დგანან. ისინი, ვინც საქმის კეთებაც იცის და ისიც იცის, ხელისუფლებას სად, როდის და როგორ დაარტყას.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგად იციან მათზე არსებული კომპრომატების შესახებ. მეტიც, აბსოლუტურ უმრავლესობას ნანახი აქვს, რა კომპრომატი არსებობს მათზე. შესაბამისად, იმისთვის, რომ ეს კომპრომატები სოციალურ ქსელებზე არ დაიდოს, ისინი ყველაფერზე წავლენ. ყველაფერზე წასვლა კი, რას ნიშნავს, ჩვენზე უკეთ ზემოთ უნდა იცოდნენ.

ჩვენი ინფორმაციით, ინტერნეტ-ტელევიზიებს პირადად დავით კეზერაშვილი დააფინანსებს. ის კეზერაშვილი, რომელიც ჩვენი პროკურატურის უნიათობით არ გადმოგვცეს და იმავე პროკურატურის უნიათობით, არც დათა ახლაიას გადმოგვცემენ. სწორედ დათას გამოშვებას ელოდებიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რადგან მან უნდა მიაწოდოს კომპრომატების ნაწილი ინტერნეტ-ტელევიზიებს. მერე უნდა გაიმართოს ვაჭრობა, დანარჩენი კომპრომატების არგაშვების სანაცვლოდ, რა უნდა გააკეთოს მოქმედმა ხელისუფლებამ. როგორც გვითხრეს, მთავარი სავაჭრო თემა ახალაია-მერაბიშვილი-უგულავას ტრიოდან მინიმუმ ერთის გამოშვება იქნება და დიდი ალბათობით, ხელისუფლება ამას დათანხმდება. საუბარი კონკრეტულად ბაჩო ახალაიას გამოშვებაზეა, რადგან მას სამეგრელოს აფეთქებაც შეუძლია. თან, არის ხალხი, ვისაც მხოლოდ ბაჩოსი სჯერა. პირველ რიგში, მეგის ქარდავა, რომელსაც სამეგრელოს ტყეებში გადაღებული კომპრომატების მთელი არქივი აქვს და ამ არქივით როგორც წინა, ისე მოქმედ ხელისუფლებას ევაჭრება.

ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ვერ მოახერხა სოსო თოფურიძემ. ჩვენი წყარო ამბობს, რომ ახალაიებთან ძველი ნდობის აღდგენისთვის, თოფურიძე ყველაფერს აკეთებს, რამდენჯერმე საბერძნეთშიც იყო დათა ახალაიას ადვოკატთან სასაუბროდ. ეს მისი მხრიდან დიდი რისკია, რადგან ყალბი საბუთებით მოძრაობს და არაა გამორიცხული, დათას გვერდით მიუსვან. მიუხედავად ამისა, გარისკვა უღირს, თუნდაც იმიტომ, რომ თურქეთიდან წასულმა უფროსმა ახალაიამ მთელი ბიუჯეტი თან გაიყოლა და ახლა სასტუმროს ფულს თოფურიძეს საქართველოდან ოჯახის წევრები ურიცხავენ. ცნობისათვის, მხოლოდ ამ გადარიცხვით შეიძლება დადგენა, სად არის თოფურიძე, თუმცა როგორც ჩანს მისი დაკავება-ჩამოყვანა ვილაცას არ აწყობს. იქნებ მას, ვინც ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი პირია და თოფურიძესთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თუმცა საკმარისი ვიდეოჩანაწერებისა და კომპრომატების არარსებობის გამო ჩაიშალა? თოფურიძემ უარი თქვა შეთავაზებაზე, საქართველოში დაბრუნებულიყო, ციხეში 2-3 წლით ჩამჯდარიყო და შემდეგ მშვიდად ეცხოვრა. ჯანმრთელობაშერყეულ თოფურიძეს ციხეში ერთი დღის გატარებაც არ სურს, ხელისუფლება კი ამაზე არ მიდის, რადგან ამომრჩეველი ვერ გაიგებს.

პრინციპში, ამომრჩეველს ბევრი სხვა რამეც არ ესმის და ვინძლო ახალ წლამდე არ გაანათლონ, ისეთი რამეები არ უჩვენონ, წინა თუ მოქმედი ხელისუფლება კუდიგორის გზას გაუყენოს და... გამგებმა გაიგოს — 2013 წელს წინა ხელისუფლების უმაღლეს პირებთან პრივატულ საღამოებზე ქეიფი და ცეკვა-თამაშიც კომპრომატი მგონია მე.



## პრემიერ-მინისტრი შსს-ს მადლობას უხდის

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1995 წელს დაბადებული იოსებ გიორხელიძის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით, დაკითხეს: ყოფილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ანუ კუდ-ის თანამშრომელი — 1962 წელს დაბადებული დურმიშხან ღვაჩლიანი, ყოფილი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ანუ სოდის თანამშორმელი — 1977 წელს დაბადებული ჯემალ შონია, ასევე 1983 წელს დაბადებული ალექსანდრე ჭანტურია და 1978 წელს დაბადებული გიორგი ქალდანი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გიორგი ქალდანმა მიუთითა ტყის მასივში ის ადგილი, სადაც ფული და იარაღი დააგდო. სამართალდამცველებმა ამოიღეს 289 100 აშშ დოლარი, 2 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 მჭიდი, 228 ვაზნა, 4 ხელყუმბარა, 1 ხიშტ-დანა, 4 ნიღაბი და 4 წყვილი ხელთათმანი.

სამართალდამცავებმა დურმიშხან ღვაჩლიანის პირადი ჩხრეკისას 900 დოლარი და მარიხუანა, ხოლო გიორგი ქალდანის პირადი ჩხრეკისას ტეტე-ს სისტემის პისტოლეტი ამოიღეს.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ჯემალ შონიამ მიუთითა ის შენობა, სადაც დაზარალებულს თავისუფლება აღუკვეთეს. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილიდან მაყუჩიანი პისტოლეტი ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მძევლად ხელში ჩაგდების, იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ვ" ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარებული ოპერაციის გამო, რომლის შემდეგ მძევლად აყვანილი იოსებ გიორხელიძე ოჯახს დაუბრუნდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შსს-ს პირად შემადგენლობას მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, გასარკვევია, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და სამინისტრო და მინისტრი ამაზე უკვე მუშაობენ: „მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო ის ადამიანები, ვინც დგას მათ უკან და ვის ბინძურ თავშიც იხარშება ეს სისასტიკე, რომელიც იგეგმებოდა წლების განმავლობაში, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ხურჩის ტერაქტი, ისინი, ვინც აუპატიურებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს პოლიციაში, ციხეებში, იტაცებდნენ და ხოცავდნენ. მინდა, საბოლოოდ გავაფრთხილო — გონს მოეგონ, თუ ისინი სახელმწიფოს და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავენ, უმკაცრესად დაისჯებიან. ძალიან მკაცრად დაისჯება ყველა, ვინც მსგავს პროვოკაციას და სიბინძურეს გააკეთებს".

*„ვერსიანიუსი"*

## თევდორე მღვდლის ქუჩაზე დევნილთა საცხოვრებელს ხანძარი გაუჩნდა

ხანძარი, საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლებმა, მალე ჩააქრეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ხანძარი დევნილთა საერთო საცხოვრებელში, სვეტიცხოვლობას შუადღეს გაჩნდა. ადგილზე 15-მდე სახანძრო ბრიგადა იყო მობილიზებული. ადგილობრივმა მოსახლეობამ ხანძრის შედეგად მიყენებულ ზარალზე ისაუბრა. დევნილების ინფორმაციით, მათი უმეტესობა სახლში გასაყიდ საქონელს — თხილსა და ლობიოს ინახავდა.

ხანძარი სწრაფად გავრცელდა, რის გამოც გარკვეული ნივთებისა და სავაჭრო საქონლის გადარჩენა ვერ შეძლეს. როგორც დიდუბის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა განაცხადა, ზარალს მალე დაითვლიან, თუმცა მანამდე, დედაქალაქის მთავრობის უპირველესი ამოცანა ხანძრის შედეგად დაზარალებულთა დაბინავება იყო.

დიდუბის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლადო ძნელაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ხალხს გვერდში დაუდგეს: **„ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ამ ადამიანებს მაქსიმალურად აღმოვუჩენთ თანადგომას. აუცილებლად გავარკვევთ, რატომ გაჩნდა ხანძარი და ყველა ზომას მივიღებთ. მთავარია, ყველა სამსახური ადგილზეა მობილიზებული".**

*„პირველი"*

ვერსიანიუსი



## სამხატვრო აკადემიის რექტორად გია გუგუშვილი აირჩიეს

სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელების განცხადებით, დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფი სტუდენტთა პროტესტის შესახებ არასწორ ინფორმაციას ავრცელებს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს: **„14 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩატარდა რექტორის არჩევნები, სამხატვრო აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, 8 ხმა 2 ის წინააღმდეგ. სამხატვრო აკადემიის რექტორად ავირჩიეთ ცნობილი ქართველი მხატვარი გია გუგუშვილი. ბატონი გია არჩეულია კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დაცვით. დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფი ცდილობს, საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და სტუდენტთა პროტესტის შესახებ არასწორ ინფორმაციას ავრცელებს".**

*„პირველი"*



# ნუკრი ქანთარია: „ოპოზიციაში აღარ ვართ, ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლება და საუბრის იმავე ჟანრში წაყვანა არასწორია“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„ვინც ფიქრობს, ქანთარია პასიურიაო, გადაეცით, რომ აქტიური ვარ იმ დონეზე, რა დონეზეც საჭიროდ მიმაჩნია. ვსაუბრობ იქ, სადაც ჩემს ადგილს ვხედავ და პროფესიონალებს სიტყვას არ ვართმევ, უფრო აქტიურად გამოჩენის მიზნით. ეს პასიურობა კი არა, გონიერება მგონია. „გუგულები“ ყველგან არიან, მათ შორის „ოცნებაშიც“, მაგრამ პასუხს მხოლოდ ჩემს თავზე ვაგებ“, — აცხადებს დეპუტატი ალექსანდრე ქანთარია, რომელიც წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის ყველაზე კრიტიკულ ოპოზიციად გვევლინებოდა „ქართული აკადემიის“ რიგებიდან. დღეს აკადემია აღარ არსებობს, აღარც იმავე ტონუსში ყოფნა და იგივე ტემბრით საუბარი ყოფილა საჭირო. თუმცა, ალბათ საჭიროა, ამ ადამიანებს შევახსენოთ, რომ „ოცნების“ სიკეთეები ჯერ ყველას არ შეხებია და ვიდრე ამ სიკეთეებსმიღმა არაერთი მოქალაქე რჩება, სწორედაც იგივე ტონუსში უნდა იყოთ, პირველ რიგში კი დეპუტატები. „ვერსია“ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, press-ვერსია, რომლის მიზანიც იმის გარკვევაა, რატომ პასიურობენ ერთ დროს ყველაზე აქტიური პოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. press-ვერსიის პირველი სტუმარი, რეჟისორი, განათლებისა და კულტურის კომიტეტის მეორე პირი, ალექსანდრე ქანთარიაა.**

**— სად არის დღეს ალექსანდრე ქანთარია?**

— ერთდროულად ბევრ ადგილას: თბილისისა და ქუთაისის პარლამენტში, ისანში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

**— ის ხალხი სად არის, ვინც აქციებზე იდგა, ვისაც იჭერდნენ, არბევდნენ, ხმის უფლებას ართმევდნენ... მათი ნახევარი ახლა პარლამენტშია და ასეთი რა შეიცვალა ამ ქვეყანაში, რომ გასაპროტესტებელი აღარაფერია?**

— რატომ ვარ პასიური, ყველა საკითხზე ჩემს აზრს ვაფიქსირებ. ჯერ ერთი, განლაგება შევიცვალეთ, ოპოზიციაში აღარ ვართ. ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლება და საუბრის იმავე ჟანრში წაყვანა, არასწორად მიმაჩნია. თუ საქმე კეთდება, ამას დიდი აჟიოტაჟი არ სჭირდება, თუ რაღაცას ვერ ვაკეთებთ, ამასაც ვაკრიტიკებთ შიდაწრეებში. ამის გარეთ გამოტანა და გულში მჯიღის ცემაც არასწორია. არც იმავე ტონუსზე უნდა ვიყო, როგორზეც მაშინ, როცა რეჟიმს ვებრძოდი. ახლა რეჟიმი არ არსებობს და პრობლემებს ვებრძვით, თუმცა ყველასთვის შესამჩნევია, რომ ამ ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი ადამიანია.

**— სად ჩანს, რომელ სფეროში, რომ ადამიანი პრიორიტეტია, მაგალითად ციხეებში, სადაც ყოველდღე ისევ ვიღაც კვდება?**

— ციხეებში ვითარება რადიკალურად განსხვავებულია! ერთეული შემთხვევა კი ყველგან ხდება. ის, რაც ჯანდაცვის სფეროში გაკეთდა, ვისთვის იყო გამიზნული, მთვარეზე მცხოვრებთათვის და უცხოპლანეტელებისთვის? ეს ცვლილებები იგრძნო იმ ხალხმა, ვინც წელს რთველი ჩაატარა, არის ოჯახები, ვინც 2 000 ლარი დახარჯა და 20 000 მოგება ამოიღო. ესეც უნდა დავინახოთ.

**— ასეთი ჩვენი მოსახლეობის მცირე ნაწილია, სამაგიეროდ, ზედაპირზე დევს ქუჩებში მომძლავრებული ყაჩაღობა, მკვლელობა — ადამიანის უფლებების დაცვა აღარ არის თქვენი პრიორიტეტი?**

— ნაციონალური მოძრაობა მაქსიმალურად ცდილობს, ქვეყანაში მოვლენები მუქ ფერებში დახატოს. ეს მათი მიზანია და ამას მანამ შეეცდებიან, სანამ ზოგიერთი ციხის კარს არ მიუკაკუნებს. არ არსებობს ქვეყანა, სადაც კრიმინალი არ არის, განსხვავება აქაც რადიკალურია — წინათ თავად ხელისუფლება სჩადიოდა დანაშაულს და ნამდვილი კრიმინალებისთვის ადგილი არ რჩებოდა.

**— იმის თქმა გინდათ, რომ თქვენი ხელისუფლების დროს ასპარეზზე ნამდვილი კრიმინალები გამოვიდნენ?**

— ახლა ყველა საქმე ელვის სისწრაფით იხსნება, ინფორმაციას კი მედიასაშუალებები ასე გვაწვდიან — მოხდა დანაშაული, დაიქცა ქვეყანა და ბოლოს, მოკრძალებულად ამბობენ, საქმე გახსნილიაო. ამ გზაზე მრავალი შეცდომაა გამოსასწორებელი და ჩვენც უამრავ შეცდომას ვუშვებთ, მაგრამ მთავარია, ვმუშაობთ.

**— კონკრეტულად თქვენს სფეროზე ვილაპარაკოთ: განათლება, მეცნიერება, კულტურა — ყველა მხრიდან მხოლოდ უკმაყოფილება ისმის. აქ რა შეიცვალა უკეთესობისკენ?**

— დაგვიანდა პრიორიტეტების გამოყოფა, განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ფინანსები კულტურისთვის ისედაც არასოდესაა საკმარისი. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა კულტურის სამინისტრომ გამოყოფილი თანხაც კი ვერ აითვისა. დიახ, რა თქმა უნდა, ეს შეცდომებია, მაგრამ ბევრიც კეთდება, მაგალითად, უშგულში ახალი მუზეუმი შენდება, მესტიაში უკვე აშენდა.

**— სამაგიეროდ, მეცნიერები გაუსაძლის დღეში არიან, გაურკვევლობაში არიან მასწავლებლები, არც ატესტაციის თემაა მოწესრიგებული.**

— ახლა, ამ წუთებში განათლების ახალი სქემა მუშავდება. ყალიბდება ცვლილებები, ფორმულირებები და კამათიც სწორედ იმიტომ მიდის, რომ ეს თემა გავხსენით — პედაგოგებისა და მეცნიერების როლი იზრდება და ჩვენი პოლიტიკა იმისკენ არაა მიმართული, ეს ხალხი როგორ დავმარხოთ.

**— თუმცა ამ აზრს არ იზიარებს თქვენი კომიტეტის თავმჯდომარე, ივანე კიღურაძე, რომელმაც განათლების მინისტრს უთხრა, ლომაია-შაშკინის გზას აგრძელებთო.**

— მათ საერთოდ დაანგრიეს მთელი სისტემა, ბატონმა ვანომ კი ის იგულისხმა, რომ მათი დანგრეული სწრაფად ვერ მოსუფთავდა. ამაში ხელს ის დაგროვილი პრობლემები უშლის, რაც ორ, სამ, ოთხ წელიწადში და შესაძლოა, მერეც ვერ გადაწყდეს.

**— ანუ მეორე ვადა ავტომატურად გაიგრძელეთ?**

— არა! მეორე ვადა ხალხმა უნდა გაგვიგრძელოს და ჩვენი უმთავრესი მონაპოვარიც ესაა — 2016 წლის არჩევნების ბედს ხალხი გადაწყვეტს.

**— ცუდია, რომ თქვენი ძველი თანამებრძოლი, მეგობარი, თემურ ნანეიშვილი დღეს ამბობს, არ მეგონა, 2 წლის მერეც ამ თემებზე თუ ვილაპარაკებდიო. გამოდის, კომუნიკაციის პრობლემა მარტო უწყებების კი არა, ადამიანების დონეზეცაა?**

— ჩვენს შორის კომუნიკაციის პრობლემა არ არის, ეს გამორიცხეთ. როგორც ჩანს, მეცნიერთა საბჭომ ვერ იმუშავა, რომელსაც სხვათა შორის, ჩვენი ორგანიზაციიდან წასული ადამიანი ჩაუდგა სათავეში. ეს მათ გაუჭირდათ ერთმანეთთან კომუნიკაცია.

**— და თქვენი ორგანიზაცია, „ქართული აკადემია“ სად არის, რაც ნაციონალები ხელისუფლებიდან წავიდნენ, ყველაფერი მოგწონთ და აღარავინ იჩაგრება?**

— პრინციპში, „ქართული აკადემია“ აღარ არსებობს, მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ საჭირო გახდა, აკადემია ისევ შეიკრიბება.

**— კარგი, თეატრებში რა ხდება?**

— აქ მთავარია თანხების განაწილება და ის, რომ მთელი ბიუჯეტი ხელფასებში არ წავიდეს და მერე სპექტაკლების გარეშე არ დავრჩეთ. ამიტომ დადგმებისა და სახელფასო ხარჯები ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს. ჩემი აზრით, თეატრი, ზოგადად, ოფიციანტის როლში არ უნდა იყოს და ხალხს მარტო ის არ უნდა მიართვას, რასაც დაავალებს. კულტურა წინ უნდა უსწრებდეს ცხოვრებას და დამოუკიდებელ კითხვებს სვამდეს, თუმცა კულტურის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობაა, ყველაფერი თავიდან დაიწყეს და ვიცი, მიშა გიორგაძეს კარგი გეგმები აქვს. ცოტა ხნის წინ ვისაუბრეთ და უახლოეს ხანებში, პასუხების მოთხოვნის დროც დადგება. მისი მინისტრობიდან დაახლოებით 4 თვის თავზე, ანგარიშის მოსმენა საინტერესო იქნება. დაფინანსების თემა ამ სფეროში ისევ მწვავედ დგას და სწორედ ახლა მიდის მსჯელობა, რომ 3 სახელოვნებო სასწავლებელს ბიუჯეტი თითო მილიონი ლარით გაეზარდოს. ესენია კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, რომლის შენობა ლამის ჩამოინგრეს და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი — ამ სასწავლებლებში ხელფასებიც დაბალია და ინფრასტრუქტურაც მოსაწყობი. ამ ყველაფერზე ვმუშაობთ და ნურავის ჰგონია, რომ გულგრილები ვართ. არ ვართ, უბრალოდ, ყველაფერზე, რასაც ვაკეთებთ, აჟიოტაჟს არ ვტეხთ. ოპოზიციის ვალი კი ისაა, გამოვიდეს და იყვიროს.

**— ოპოზიცია საინტერესო როლშია — საპარლამენტო პროცესებსა და თქვენს გადაწყვეტილებებს ემიჯნება და შესაძლოა, მალე ხალხმა და ნაციონალებმა ერთად გითხრან, ხელისუფლების ყველა შტოში თქვენ იყავით და მთელი პასუხისმგებლობა თქვენზეაო. ამას რატომ უშვებთ?**

— ნაციონალებთან კონკრეტულ პოლემიკაში შესვლა სისულელეა. მათი საქმე ყვირილია და, როგორც კი ხელისუფლება ამ ყვირილზე პასუხობს, როგორც ოპოზიცია სუნთქვას მაშინ იწყებენ. საერთოდ, როცა ომია და გამარჯვება მოდის, მერე „ბრიგადები“ იცვლება — არის ჯგუფი, რომელიც გორაკს აიღებს და მოდის მეორე ჯგუფი, რომელიც ამ გორაკს უკავებს და მუშაობას აგრძელებს.

**— თქვენ რომელი ხართ აქედან?**

— მე ის ვარ, ვინც იკავებს გორაკს. შევრჩი ამ გორაკს და მართვის პროცესში ვმონაწილეობ. აქ ვიქნები მანამ, სანამ ვამჩნევ, რაღაცის კეთება შემიძლია.

**— თუმცა მაინც გულგრილი ხართ, რადგან, ნაციონალების თქმის არ იყოს, ნახევარი საქართველო ფიქრობს, რომ ბარბარე რაფალიანცი გიორგი ღვინიაშვილმა მოკლა, მეორე ნახევარი კი ფიქრობს, რომ — მანანა ბერიკაშვილმა. პარლამენტს აქვს დამატებითი ბერკეტი, დავა დაასრულოს და საგამოძიებო კომისია შექმნას. ამას რატომ არ აკეთებთ?**

— სიტყვით გამოვედი და ვთქვი, რომ ამ კომისიის შექმნას ვეწინააღმდეგები. თქვენ კი ნაციონალებს ხართ აყოლილი და მათი განცხადებების შთაბეჭდილების ქვეშ ხართ.

**— უკაცრავად, ეს თქვენ ედებატებით და ალაპარაკებთ ნაციონალებს, მე კი თქვენ, ხელისუფლებას, ოპოზიციის კითხვებს გისვამთ. ასე ვუსვამდი თქვენს კითხვებს ნაციონალებს, როცა ოპოზიცია ქუჩაში იდგა, ისინი კი ხელისუფლებაში იყვნენ!**

— ნაციონალური მოძრაობა ჩვენი ოპოზიცია არ არის. საერთოდ, პარტიაც არ არის. საკუთარი თავის გადარჩენის კომიტეტია, ეგ რა ოპოზიციაა!

**— აბა, ვინ არის ოპოზიცია?**

— ოპოზიციად ყველას მოვიაზრებ, ვინც პარლამენტსგარეთაა დარჩენილი.

**— სტატუსზე არ გეკითხებით, კითხვას რომელი გისვამთ, რომელი გაკრიტიკებთ?**

— ყველა სვამს კითხვებს, ბურჯანაძე, დემოკრატები, ყველა, ვინც გარეთაა, პატრიოტთა ალიანსი და სხვები. თუმცა ოპოზიციასაც აქვს პრობლემები. რაც შეეხება რაფალიანცის საქმის კომისიას, გარკვევით ვთქვი, რომ ამ საქმის გამოძიება არავის აინტერესებს, ეს საქმე ნაციონალებს ნაღმივით აქვთ გადადებული, რომ, როცა დასჭირდებათ, ამოიღონ და ააფეთქონ.

**— ეს ხომ იცით წინასწარ, რატომ აძლევთ ამის საშუალებას?**

— კომისია ახალს ვერაფერს გააკეთებს. იმდენი დრო გავიდა, ახლა გამოძიება გართულებულია. ამ საქმის ცხელ კვალზე, პირველი ერთი თვე, ნაციონალები მუშაობდნენ და ყველა კვალი წაშალეს. ეს საქმე აუცილებლად უნდა გამოიძიონ, მაგრამ არის რაღაც საკითხები, რაც „იჭედება“. უდანაშაულო ხალხს კი ციხეში ვერ ჩავყრით, აი, საქმე გავხსენითო — „ოცნება“ ასე არ იქცევა! ნაციონალებს ამ საქმით თავს ნამდვილად არ გავაპიარებინებთ. პროკურატურის მუშაობა ახლა უფრო მომწონს, გააქტიურებულები არიან და ვფიქრობ, დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს მალე კარზე მიუკაკუნებენ.

**— მეორედ ამბობთ ამას, რამე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?**

— ეს სიები მე არ მაქვს და არც უნდა მქონდეს.

**— სიები არსებობს?**

— არ ვიცი, ალბათ არის, დანაშაულის მიხედვით, მაგრამ ვვარაუდობ, ჯერ კიდევ ბევრია გასამწესებელი, სადაც საჭიროა.

## ვერსიანიუსი

### ქართველ მეზღვაურებს მსოფლიოში მოქმედი სტანდარტების პირადობის მოწმობა ექნებათ



საქართველო მეზღვაურების პირადობის მოწმობების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ კონვენციასთან მიერთებას გეგმავს.

მთავრობამ კონვენცია რატიფიცირებისთვის პარლამენტს უკვე წარუდგინა და მას კომიტეტების ფარგლებში განიხილავენ.

აღნიშნული კონვენცია მეზღვაურების პირადობის მოწმობების მსოფლიოში მოქმედ სტანდარტებს ამკვიდრებს, რაც როგორც განხილვისას აღინიშნა, მსოფლიოს ნავსადგურებში მეზღვაურთა უპრობლემო შესვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან, წინაპირობაა.

***„ინტერპრესნიუსი“***

### წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის გაქურდვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

თბილისში მდებარე წმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი ეკლესიის მსახურებს, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაძარცული დახვდათ. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ტაძარში ყველა ნივთი დამტვრეულია.

***„პირველი“***

# „განათლების სამინისტრო შაშნიკი-ლომაიას კურსს აგრძელებს“!



## რა გაყალბებასა და ფინანსურ გარღვევაში სდებენ ბრალს და როგორ პასუხობს მეცნიერების კითხვებს თამარ სანიკიძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მდგომარეობა, უნივერსიტეტების კუნჭულებში ჩაკარგული მეცნიერება და მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა 150-ლარიანი ხელფასით დაფასება — ეს ის ძირითადი თემები იყო, რომლის გარშემოც თბილისის პარლამენტში მეცნიერების ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა მოსმენაზე მინისტრი თამარ სანიკიძე დაიბარა და კრიტიკის ქარ-ცეცხლშიც გაატარა. ორწლიანი საპარლამენტო მუშაობის მანძილზე, ეს ამ კომიტეტის მეორე მოსმენა იყო, პირველი კი ერთი წლის წინ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში გაიმართა. უკმაყოფილო მეცნიერებმა არაერთი დაპირება მიიღეს, რაზეც პასუხი 13 ოქტომბერს საკმაოდ მწვავედაც მოითხოვეს.**

გაისმა ურთიერთბრალდებები, მათ შორის, საკმაოდ მძიმეც. შედეგი კი ისაა, რომ გადაწყდა, მსგავსი საკომიტეტო მოსმენა წელიწადში ერთხელ კი არა, სამჯერ გაიმართოს და მინისტრმა სკოლების პედაგოგებს, უნივერსიტეტების რექტორებსა და მეცნიერებს ცალ-ცალკე მოუსმინოს. გაირკვა ისიც, რომ სამინისტროს მეცნიერების განვითარების გულდაგულ დამალული 10-წლიანი სტრატეგია და კონცეფცია ჰქონია, რომლის პრეზენტაციაც 20 ოქტომბერს იგეგმება. ასევე, დაგეგმილია ეკონომიკური საბჭოს შექმნა, რომელიც ამ მიმართულებითაც იმუშავებს და სათავეში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩაუდგება. მანამდე კი პარლამენტში დაბარებულ სანიკიძეს, კომიტეტზე ზუსტად 5-წუთიანი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ნამდვილად ბევრის მოსმენა მოუხდა. **„ჩვენმა სამინისტრომ მუშაობა კვლევით დაიწყო. ჩატარდა მეცნიერების აუდიტი, გამოიკვეთა პრიორიტეტები, ფინანსური საჭიროებები, ასევე რა სფეროში რამდენი მეცნიერია საქართველოში დარჩენილი. ეს ინფორმაცია შეჯერდა და გადაწყდა, რომ უნდა შექმნილიყო სტრუქტურა საბჭოს სახით, სადაც სტრატეგიულ მიმართულებებს განვიხილავდით“,** — განაცხადა სანიკიძემ და პირველი, ვინც მის მოკლე გამოსვლას გამოეხმაურა, მრავალტანჯული სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, მეცნიერთა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელი **ავთანდილ არაბული** იყო. მან ის რეკომენდაციები გაასაჯაროვა, რაც მეცნიერებმა თითქმის ერთი წლის წინ გაუგზავნეს სამინისტროს: 1. საჭიროა სამეცნიერო სისტემის ძველი სახით ნგრევის შემდეგ, რეორგანიზაციის ადეკვატური სქემის შემუშავება. 2. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, აუცილებელია რეორგანიზაციის ეტაპობრივი განხორციელება: ჯერ უნდა განისაზღვროს სამეცნიერო ერთეულების იურიდიული სტატუსი, მოგვარდეს მეცნიერთა სახელფასო უზრუნველყოფა, განისაზღვროს დარგობრივი ტარიფი. შემდეგ, საჭიროა სამეცნიერო თანამდებობების კონკურსის წესით დაკავების ორგანიზება და საშტატო ერთეულების დაკომპლექტება. 3 შემდეგი ეტაპია ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება და შენობიდან გამოსახლებული კვლევითი ინსტიტუტების შესაბამისი ფართით დაკმაყოფილება. 4. მოგვარდეს მეცნიერ-მუშაკთა ღირსეული საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემა. 5. სხვადასხვა კანონში აისახოს ცვლილებები, რაც სამეცნიერო სისტემის რეორგანიზაციას გახდის შესაძლებელს. 6. დაიწყოს დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების განკარგულებაში არსებული ქონების ოფიციალური ინვენტარიცაზია.

როგორც არაბულმა მოსმენაზე აღნიშნა, მეცნიერთა მიერ მომზადებული დოკუმენტები მოცულობაში გაცილებით მეტი, დაახლოებით 100 გვერდი იყო, სამინისტრომ კი, პრემიერს, დასკვნის სახით, მხოლოდ 40-გვერდიანი დოკუმენტები გაუგზავნა. გარდა იმისა, რომ ამ დასკვნას გაყალბებული ეწოდა, ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი კვლევითი ინსტიტუტი საერთოდ შენობის გარეშე დარჩა, ზოგი — უნივერსიტეტს შეეფარა, ზოგ მეცნიერს ხელფასი დააკლდა, ზოგს იგივე დარჩა, ზოგსაც მოემატა, გადანაწილება კი მიკერძოებულად მიმდინარეობდა. ეს განცხადებები მინისტრისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. ბრალდებები გაისმა გია შარვაშიძის მისამართით, რომელმაც მეცნიერების აუდიტი ჩაატარა. დაახლოებით სამსაათიან შეხვედრაზე ისეთ ფრაზებსაც მოისმენდით, როგორიცაა, „მეცნიერთა ხელფასის მომატებაზე ერთი გროში არ დახარჯულა“...

ხელფასებისა და ფინანსების საკითხი აქტუალური **თემურ ნანეიშვილის** გამოსვლაშიც იყო: **„სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ 2 წლის შემდეგ ისევ ამ საკითხებზე მოგვიხდებოდა მუშაობა. როცა მეცნიერთა საბჭოსთან ერთად დავიწყეთ მუშაობა, ითქვა, ჯერ მოვახდინოთ ინვენტარიზაცია, გამოყოფილ თანხებს ასე ხომ არ გავფანტავთო და მერე განსაზღვროთ, ვის რა ეკუთვნის, რამდენი მეცნიერი დარჩა ქვეყანაში... პროცესი მარტამდე უნდა დასრულებულიყო. შუა მუშაობაში, უცებ, ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე დაიწყო საუბარი. თუ არის საშუალება, შენობის გადახურვის წინააღმდეგი კი არაა ვინმე და ის კი არ მოგვწონს, რომ ინსტიტუტში წყალი ჩამოდის, მაგრამ პირველ რიგში ხომ ადამიანია და მის პრობლემას უნდა მიხედო?! 150 ლარი აქვს დღეს მეცნიერს ხელფასი, აბა წარმოიდგინეთ, რომ თვიდან თვემდე თქვენც ამ ხელფასით უნდა იცხოვროთ. კაცი თუ ცოცხალი არ იქნა, შენობა რად გვინდა?! მეცნიერები სულს ღაფავენ, ამ დროს, 150 ლარი აქვთ ხელფასი, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ჰქვიათ! ეს პათოლოგიური მდგომარეობა ქვეყანაში სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ“.**

მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** კი, მეცნიერთა წამოძახილს, რაც ამ გამოსვლას უხვად მოყვა, ასე უპასუხა: **„ხაზინიდან ამონაწერს გაჩვენებთ, რომ თქვენი ფული არსად მიდის... არ ვამბობ, რომ ყველაფერი გაკეთდა, მაგრამ რაც გაკეთდა, ხაზს იმასაც ნუ გადავუსვამთ. ჩატარდა აუდიტი, დაიდო დასკვნა, შეფასდა არსებული რესურსი. ახლა სწორედ ამ დასკვნას მივყვებით და მისი შედეგებით ვხელმძღვანელობთ. 20 ოქტომბერს ახალი, 10-წლიანი სტრატეგიის პრეზენტაცია გვექნება. ვფიქრობ, არსებული საბჭო უნდა გაფართოვდეს, მეცნიერების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები დაიხვეწოს და საბჭოს გადავუგზავნოთ. ძირითად, მსხვილ გადაწყვეტილებებსაც სწორედ ეს საბჭო მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც შენიშვნები დაუმსახურებლად მივიღე, ალბათ, ამ პრობლემასაც მოვაგვარებთ და საერთო ენასაც გამოვნახავთ. რადგან მეცნიერთა საბჭოს ხელმძღვანელთან, თამაზ მარსაგიშვილთან საერთო ენა ვერ გამოინახა, ისიც შემიძლია შემოგთავაზოთ, რომ ამ საბჭოს წევრი მეც გავხდები, არამეცნიერი, თუ ეს თქვენთვის მისაღები იქნება და ყველა დასკვნა თუ დოკუმენტი ჩემი თანდასწრებით დაიწერება“.**

სხდომა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, **ივანე კიღურაძემ** შეაჯამა, რომელიც იმ სამსაათიან შეხვედრაზე, გამწარებული მეცნიერების გარდა, დეპუტატებს შორის ერთადერთი იყო, ვისაც საქმიანი შენიშვნები და მკვეთრი შეფასებები ჰქონდა: **„სახელმწიფომ უნდა აღიაროს მეცნიერის პროფესია — დღეს მეცნიერება დროებით უმუშევარი ადამიანის პოზიციაშია. მეცნიერებზე კი გენოციდია გამოცხადებული. მესმის, გაფუჭება გაცილებით იოლია, ვიდრე გაფუჭებულის გამოსწორება, მაგრამ ჩვენ ახლა ხელში მოგვცეს პისტოლეტი, რათა მეცნიერება საკონტროლო გასროლით მოვკლათ! თუ ასე გავაგრძელეთ, საქართველოში მეცნიერება საბოლოოდ დასამარდება. მაშინ იმის თქმა მომიწევს, რომ განათლოების სამინისტრო აგრძელებს შაშკინისა და ლომაიას კურსს! შესაძლოა, ეს ჩვენი, პარლამენტის ბრალიცაა, რადგან უფრო მტკიცე და აქტიურები უნდა ვყოფილიყავით“.**

ხანგრძლივი შეხვედრის დასრულების შემდეგ „ვერსია“ ბრალდებების ერთ-ერთ ადრესატს **გია შერვაშიძეს** ესაუბრა, რომელმაც მეცნიერების აუდიტი ჩაატარა:

**— აუდიტის დასკვნების გაყალბებას გედავებიან, ასევე მეცნიერების მიერ გადმოგზავნილი რეკომენდაციების დამახინჯებას და ირაკლი ღარიბაშვილისთვის ასე მიწოდებას.**

— 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოში არსებული კვლევითი დაწესებულებები უმაღლეს სასწავლებლებში გადანაწილდა. 4-ის გარდა, ყველას გადანაწილება მოხდა და ეს პროცესი ძალიან სწრაფად და მექანიკურად მიმდინარეობდა, ყოველგვარი პრინციპის გარეშე. ზოგ შემთხვევაში, შერწყმა მართლაც მოხდა, ზოგან — არა. ეს პრობლემა ნაკლებად შეეხო სამედიცინო და ტექნიკურ უნივერსიტეტებს, მაგრამ შეეხო სხვებს, ამიტომ პრობლემა ნებისმიერ შემთხვევაში მოსაგვარებელია. დარჩა მეცნიერთანამშრომელთა დიდი რაოდენობა, ვინც არც ლექციებს კითხულობს, არც დოქტორანტები აჰყავს. ასევე, მოსაწესრიგებელია სამართლებრივი სტატუსიც. რაც შეეხება დასკვნების გაყალბებას, ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა. მეცნიერების დასკვნა ეკონომიკურ საბჭოს უცვლელად წარვუდგინეთ, უბრალოდ, გაკეთდა დიდი დოკუმენტის დაიჯესტი, დანარჩენი დოკუმენტაცია, ანუ 42 კვლევითი დაწესებულების პროექტი კი ამ დაიჯესტს მიემაგრა. ამ შემთხვევაში, ნამდვილად კომუნიკაციის პრობლემა იყო.

**— ძირითადი მოთხოვნა, რაც მოსმენაზე ისმოდა, 150-ლარიანი ხელფასების გაზრდაა. შეგიძლიათ, ამ საკითხზე კონკრეტულად უპასუხოთ?**

— ერთია, რომ ხელფასების საკითხი მოსაგვარებელია, რაც, თავის მხრივ, სტატუსთანაა დაკავშირებული. ჯერ უნდა აღდგეს მეცნიერთა სტატუსი და განისაზღვროს კვლევითი ინსტიტუტების იურიდიული ფორმა და მერე ვიფიქროთ, კონკრეტულ რიცხვებზე. ცვლილებებია შესატანი მეცნიერების შესახებ კანონშიც და ამ ცვლილებების ინიცირებას ის საბჭო მოახდენს, რომელიც მომავალში გაფართოვდება. ეს საბჭო პარლამენტში შეიტანს შესაბამის პაკეტს და მას მხარს დაუჭერენ. ალბათ, საბჭო დაახლოებით ერთ კვირაში შეიკრიბება. ახალ წლამდე კი მისი გაფართოებაც უნდა მოესწროს, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადებაცა და პარლამენტში ინიცირებაც.

ვერსიანიუსი

## ზაურ შვანგირაძე და ლევან ბუღაშვილი სოხუმის იზოლატორში იმყოფებიან




შსს-ს ინფორმაციით, ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოს მკვიდრნი ზაურ შვანგირაძე და ლევან ბულაშვილი რამდენიმე დღის წინ ოკუპირებული გალის მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონოდ დააკავეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია ევროკავშირის მონიტორინგის მისიას მიეწოდა, რომელმაც თავის მხრივ, ცხელი ხაზის მექანიზმის მეშვეობით, შვანგირაძისა და ბულაშვილის დაკავების ფაქტი დაადასტურა. შსს-ს ცნობით, ამ ეტაპზე დაკავებულები ოკუპირებულ სოხუმის დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილები.

ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოდან აფხაზეთში სამუშაოდ გადასული ორი ახალგაზრდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ დააკავა. როგორც დაკავებულების ახლობლები აცხადებენ, ლევან ბულაშვილი და ზაურ შვანგირაძე აფხაზეთში თხილის საკრეფად იმყოფებოდნენ. რამდენიმე დღის წინ ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა, რომ ორივე ახალგაზრდა დაკავებულია.

*„ინტერპრესნიუსი“*

## თურქეთში ავარიას საქართველოს მოქალაქე ემსხვერპლა

თურქეთში გარდაცვლილი ქართველის ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული გურიაში მცხოვრებ ორ ქალბატონს, რომლებიც თურქეთში სავაჭროდ იმყოფებოდნენ, ავტომობილი დაეჯახა. შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია ერთი ქალბატონი, რომლის ცხედარიც სტამბოლში ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

მეორე ქალბატონის მდგომარეობა სტაბილურია. ავტოსაგზაო შემთხვევა სარფიდან 5-6 კილომეტრში მოხდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

ექსკლუზივი

# ფინანსური დარღვევები ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და 55-მილიონიანი სანქცია




მაია მიშელაძე, 593-51-90-12

**სექტემბრის დასაწყისში, აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების გადაწყვეტილებით, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ დირექტორი, ლევან ჯინჭარაძე გაათავისუფლეს. ცვლილებას ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია, რადგან მურმან დუმბაძის თანაგუნდელმა ყოფილმა დირექტორმა მისი გათავისუფლება პოლიტიკური მოტივით ახსნა და დასძინა, რომ აჭარის მთავრობის მეთაურის, არჩილ ხაბაძის მამა თამაზ ხაბაძე ებრძვის, რომელიც აჭარის საწარმოთა მართვის სააგენტოს ხელმძღვანელია. სინამდვილეში, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორის გათავისუფლებას, პოლიტიკურზე მეტად, ეკონომიკური საფუძველი აქვს. თანაც, საკმაოდ სერიოზული, რადგან ექსდირექტორს პოსტი შიდააუდიტის ჩატარების შემდეგ დაატოვებინეს. შიდააუდიტით, მხოლოდ განვლილი ერთი წლის მასალები შემოწმდა. „ვერსიამ“ კი გაცილებით სერიოზული დოკუმენტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან ექსკლუზიურად მოიპოვა. სახელმწიფო აუდიტის დასკვნა 2010-2011-2012 წლების ფინანსურ დოკუმენტაციას ეხება, რომელიც ჩვენი ინფორმაციით უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი. მას შემდეგ, რაც პროკურატურა ამ მასალებს შეისწავლის, ლევან ჯინჭარაძესთან ერთად, პასუხისმგებლობა მის წინამორბედს, ნიკო თავდგირიძესაც დაეკისრება.**

### დარღვევები ბუღალტერიაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ საქმიანობის ფინანსური აუდიტი განახორციელა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი, 2010-2012 წლების ბალანსებისა და მასთან დაკავშირებული ანგარიშგების შემოწმების ფაქტებისგან შედგება. სახელმწიფო აუდიტებმა ამ დოკუმენტებში არსებული ფინანსური დარღვევები გამოავლინეს და დაასკვნეს, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას 2010 წელს 54 236 ლარის, 2011 წელს 187 485 ლარის, ხოლო 2012 წელს 152 281 ლარის ზარალი მიადგა.

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ საბუღალტრო ჩანაწერებით ირკვევა, რომ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქარხანას ბალანსზე ერიცხებოდა 25 414 703 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. აუდიტის პერიოდში, ქარხანაში 8 774 ლარის ძირითადი საშუალებები შეიძინეს, 1 897 ლარის კი უსასყიდლოდ გადასცეს; მეტიც, საწესდებო კაპიტალიდან გაიტანეს და ძირითადი საშუალებების ღირებულება 17 342 820 ლარით შეამცირეს.

აუდიტორული დასკვნით ისიც ირკვევა, რომ საბუღალტრო ჩანაწერების არასწორად წარმოების მოტივით, საზოგადოების ხარჯზე ძირითადი საშუალებების ღირებულება 7 672 401 ლარით შეამცირეს, თუმცა შესაბამისი კომისიის დასკვნის მიხედვით, უვარგისობის მოტივით, 7 553 ლარის აქტივები ჩამოწერეს. 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ცვეთის გათვალისწინებით, ქარხანას ნაშთად ერიცხებოდა 74 535 ლარის ქონება. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებიდან, შენობა-ნაგებობების ღირებულება 1 015 626 ლარს შეადგენდა, რეზერვუარის — 1 995 484 ლარს, მილსადენების — 825 518 ლარს, სატუმბოების — 167 578 ლარს, სარკინიგზო ხაზის — 1 213 717 ლარს, ენერგოსაამქროს — 248 989 ლარს, სხვა ძირითადი საშუალებების 19 947 791 ლარს.

საწარმოთა მართვის სააგენტოს 2010 წლის 27 მაისის ბრძანებით, ქარხნის საწესდებო კაპიტალიდან 15 982 831 ლარის ღირებულების ქონება გაიტანეს, 2011 წლის 24 იანვრის ბრძანებით — 24 605 ლარის ქონება, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბრძანებებით, ქარხნის საწესდებო კაპიტალიდან 1 335 384 ლარის ქონება გაიტანეს, მთლიანობაში კი 17 342 820 ლარის ღირებულების ქონებაა გატანილი. აქედან გამომდინარე, ქარხნის ბალანსზე ნაშთად მხოლოდ 74 535 ლარის ღირებულების სხვა ძირითადი საშუალებები ირიცხება.

იმის გამო, რომ „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებიდან, კაპიტალის შემცირების გზით, 17 342 820 ლარის ღირებულების აქტივები გაიტანეს, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ეს საბუღალტრო ოპერაცია ქარხნის სრულფასოვნად ფუნქციონირების შეფერხების მაღალი რისკის შემცველი იყო. სათანადო მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო, ქარხნის საბალანსო მონაცემებში, ძირითადი საშუალებების ღირებულების 7 672 401 ლარით შემცირების კანონშესაბამისობაც მაღალ რისკს შეიცავს და დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ძირითადი საშუალებების 7 672 401 ლარით შემცირებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტორებს შესაბამისი მტკიცებულებები წარუდგინეს. გაირკვა, რომ 7 672 401 ლარი, წინა პერიოდებში, მიწის ხარვეზით გადაფასებისგან წარმოშობილი ნამეტი იყო, თუმცა ამ მტკიცებულებაში, რომელიც ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის დასკვნაა, მითითებული არ არის, კონკრეტულად რა პერიოდში დაუშვა ქარხნის ხელმძღვანელობამ შეცდომა-ხარვეზი. მეტიც, მტკიცებულებებში ამ ხარვეზის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოიპოვება. სხვა აუდიტორული კომპანიის დასკვნის მიხედვით, სახელმწიფო აუდიტებმა გაარკვიეს, რომ 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქარხანას 815 568 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთი ერიცხებოდა, რომლის ღირებულება 11 568 618 ლარი იყო.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

საზოგადოება

# ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური 4 000 000 ლარით დაფინანსდა



რატომ გამოეყო სამსახური თავდაცვის სამინისტროს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“ ცალკე მხარჯავ დაწესებულებადაა წარმოდგენილი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ეს სამსახური თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში აღარ შედის. საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ საბიუჯეტო კოდი 54.00-ია, ხოლო 2015 წელს, ამ სამსახურისთვის ბიუჯეტში 4 000 000 ლარია გამოყოფილი. 2014 წლის 23 იანვარს, საქართველოს მთავრობის №102 დადგენილებით, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დებულება დამტკიცდა.**

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური, ცალკე მხარჯავ დაწესებულებად პრემიერ-მინისტრის ბრძანებით გადაკეთდა, თუმცა არ გააკეთეს კომენტარი იმაზე, რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

საქართველოს მთავრობის მიერ, 2014 წლის 23 იანვარს მიღებული 102 დადგენილებით, სსიპ „ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის“ დებულება დამტკიცდა. მასში განმარტებულია, რომ ეს სამსახური ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონების შესაბამისად შეიქმნა. სამსახურის მიზანია, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მიმართ ერთიანი, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. სსიპ „ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური“ ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

სამსახურის ძირითადი მიზნებია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა; სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება; სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნა; სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა; ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამჟამად, ამ სამსახურის დირექტორი ირაკლი შიხიაშვილია, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა დანიშნა. დებულებით, დირექტორს სამი მოადგილე ჰყავს, პირველ მოადგილეს კი თანამდებობაზე თავად ნიშნავს და ათავისუფლებს. წელიწადში ერთხელ, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს მთავრობას აბარებს.

სამსახურის კონტროლის განსახორციელებლად, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, სამეთვალყურეო საბჭო შეიქმნა. საბჭო 5 წევრისაგან შედგება, რომლებიც საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრების მოადგილეები და საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელია. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.

სამსახურის დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; გრანტის, შემოწირულობის სახითა და ქველმოქმედებიდან მიღებული შემოსავლები; სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი; ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, რაც სამსახურის ფუნქციების შესრულებასა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. მიზნების განსახორციელებლად, სამსახური უფლებამოსილია, ეკონომიკური საქმიანობა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს.

საქართველოს მთავრობა ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასაც აკონტროლებს — სამსახური ვალდებულია, მოთხოვნისთანავე, მთავრობას შესაბამისი ინფორმაცია და მასალები წარუდგინოს. მთავრობა უფლებამოსილია, დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება შეაჩეროს ან გააუქმოს.

# კახი კახიშვილი: „თანამდებობაზე დანიშვნა მოსალოცი სულაც არ არის“

რუსუდან შელია
557-100-768



**სამოქალაქო სექტორს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი ტოვებს — 13 ოქტომბერს კახი კახიშვილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა და უკვე მოქმედების გეგმაც დეტალურად გაწერილი აქვს. რა ცვლილებები იგეგმება უწყებაში, როდის გაუქმდება სად-ი და რას სთავაზობს პატიმრებს „ძველბიჭობის“ ალტერნატივად, „ვერსიასთან“, ამჯერად საჯარო მოხელის რანგში, კახი კახიშვილი საუბრობს.**

**— სასჯელაღსრულების უწყებაში მუშაობის გამოცდილება ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას მიიღეთ, როცა რეალურად სისტემას ე.წ. ქურდული მენტალიტეტი მართავდა. მინისტრის პირველ მოადგილედ თქვენი დანიშვნა პენიტენციალურ სისტემაში რას შეცვლის?**

— ზუსტად ვიცი, რაც უნდა გავაკეთო! წლების წინ პროკურატურიდან მართლაც ისეთ სისტემაში მოვხვდი, სადაც ხელისუფლება პატიმრებისა და უწყების თანამშრომლების უფლებების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. მათი უსაფრთხოებაც არ იყო გარანტირებული. შესაბამისად, კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებთან ოპონირება რთული იყო. ეს ვითარება აღარ უნდა განმეორდეს! ახლა მთავარი მიზანი ინსტიტუციონალური რეფორმაა. დღეს რეალურად სად-ი არის სახელმწიფო სახელმწიფოში. სამინისტრო კი ცალკე ქუდი გახლავთ, პოლიტიკური

## სად-ი გაუქმდება, ციხეებში კი პატიმრები იმუშავებენ და ხელფასიც ექნებათ

კეკლუცობისთვის. სად-ი მინისტრს აზრსაც არ ეკითხებოდა, ზოგ შემთხვევაში კი, ტელეფონსაც არ პასუხობდა, ამიტომ გვქონდა სისტემა, სადაც შავბნელი საქმიანობა არსებობდა. თუ მინისტრი პოლიტიკურად პასუხისმგებელია, მან ტექნიკური პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს. აქედან გამომდინარე, რეფორმის შედეგად ყოველგვარ პასუხისმგებლობას სამინისტრო აიღებს. სად-ი გაუქმდება და რიგითი დეპარტამენტი გახდება. მისი ბიუჯეტიც, რომლის ფარგლებშიც პრემიებს სურვილისამებრ არიგებდნენ, სამინისტროს დაექვემდებარება.

**— თქვენ ზოგადად სასჯელაღსრულების სამინისტროს გაუქმებასაც ითხოვდით. თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ აზრი შეიცვალეთ?**

— დიახ, არსებული სახით მართვა უნდა დასრულდეს, რასაც რეფორმა ითვალისწინებს. რეფორმა კი, ახალ წლამდე გატარდება და საბოლოოდ, კომუნისტური გადმონაშთის ნაცვლად, ევროპული ტიპის პენიტენციალურ სისტემას მივიღებთ.

**— სად-ის გაუქმების გარდა რა ცვლილებები იგულისხმება რეფორმაში?**

— ოპერატიული სამსახურის გაძლიერებას ვგეგმავთ. დღეს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების პრობლემა არსებობს, დამუშავებული ინფორმაცია კი, შესაძლებლობას მოგვცემს, შეცდომები აღარ დავუშვათ. უსაფრთხოების ბაზებიც შეიქმნება.

**— პენიტენციალურ სისტემაში ოპერატიული ინფორმაცია ფარული თვალთვალისა და ე.წ. ჩაშვების ინსტიტუტის გაძლიერებით უნდა მოიპოვოთ?**

— ოპერატიული სამძებრო კანონი იძლევა შესაძლებლობას, კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით ინფორმაცია როგორც ფარული, ისე ღია მეთოდით მოიპოვო. ინფორმაციის მოპოვება მაინცდამაინც პატიმრის მონაყოლს არ ნიშნავს. უწყებამ წინასწარ უნდა იცოდეს, რომელ პატიმრებს აქვთ ერთმანეთთან კონფლიქტი, რათა ისინი ერთ საკანში არ მოხვდნენ. საამისოდ ბაზა შეიქმნება, რაც უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს უზრუნველყოფს. სამწუხაროა, რომ დღეს სად-ის თანამშრომლობა პრესტიჟულ სამსახურად არ მიიჩნევა. ამ სისტემაში ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც სპეცსამსახურში მუშაობდნენ. რეფორმა ამ მიმართულებითაც გასატარებელია. სად-ის თანამშრომლის სტატუსს პრესტიჟულს სპეციალური გარანტიებით გავხდით. სასწავლო ცენტრის ბაზაზე ჩატარდება სპეციალური სასწავლო კურსებიც, სადაც ადამიანები ცოდნის შესაბამის სერტიფიკატებს მიიღებენ. ვგეგმავთ, სად-ის თანამშრომლებს, რომლებიც დღეს ოფიცრები არიან, სამხრეები მოეხსნათ და სამოქალაქო პირები გახდნენ.

**— თანამშრომლებზე ზრუნვა გასაგებია, მაგრამ პატიმრების პირობების გასაუმჯობესებლად კონკრეტული გეგმა არ გაქვთ?**

— პენიტენციალურ სისტემაშიც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. პატიმარს დისციპლინის დაცვის სტიმული არ აქვს, რადგან შიგნით და გარეთ სამუშაო ადგილი არ არის. უკვე დავიწყეთ მუშაობა, რომ ბიზნესსექტორს გარკვეული შეღავათები დაუწესდეს თუ დაწესებულებას ციხის ტერიტორიაზე ააშენებს. ეს პატიმრებს მისცემს საშუალებას, ციხეში შრომით მაქსიმალურად დაიტვირთონ და ოჯახს მატერიალურად დაეხმარონ. ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრსაც ვესაუბრე. დეტალები მუშავდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე გახსნილი საწარმო კომუნალურ ტარიფებს არ გადაიხდის, ბიზნესმენებისთვისაც სტიმული იქნება.

**— არ მიპასუხეთ, როგორ აპირებთ ლოკალური პრობლემების დაძლევას? პატიმრების ოჯახის წევრები ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულებზე ზეწოლაზე საუბრობენ, პენიტენციალურ სისტემაში პრობლემად იქცა ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების არსებობა, სახალხო დამცველიც, სამი დღის განმავლობაში 3 პატიმრის გარდაცვალების ფაქტს საგანგაშოს უწოდებს!**

— როცა ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, ეს ციხეზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებს ციხეში გავლენის მოპოვების სურვილი ყოველთვის ჰქონდათ და მომავალშიც ექნებათ. უბრალოდ, ნაციონალური მოძრაობის დროს ციხეს ბევრად ხისტი კრიმინალები მართავდნენ, ამიტომაა აუცილებელი, პატიმარს ალტერნატივა შევთავაზოთ — გარდა „ძველბიჭობისა“ არსებობს შანსი, ფინანსურად უკეთესი პირობები შეიქმნან და მუშაობის სტიმული დაიბრუნონ. ესაა ჩვენი მიზანი და არა ნაციონალური მოძრაობის მეთოდების დანერგვა! ადვილია, პატიმარი ძვლებში დაანგრიო, ჯანმრთელობა წაართვა და ამის ხარჯზე ციხეში წესრიგი შეინარჩუნო, მაგრამ ასეთი წესრიგი არ გვინდა! ამის ალტერნატივა კანონის დადგენილ ჩარჩოში მოქმედებაა — პატიმარმა უნდა იცოდეს, რომ მის უფლებებზე ზრუნავენ, მაგრამ იმავდროულად ისიც უნდა დაემორჩილოს ციხის რეჟიმს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რეჟიმი გამკაცრდება. პირობითად, თუ პატიმარს სამი მოკლევადიანი და ერთი გრძელვადიანი პაემანი ეკუთვნის, დისციპლინის დარღვევისთვის ამ უფლებით წელიწადში მხოლოდ ერთხელ ისარგებლებს.

**— წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემას აკრიტიკებდით, „ქართულ ოცნებასაც“ მმართველობის სტილს უწუნებდით. თუ რეფორმამ არ გაამართლა და ციხეებში ვითარება არ შეიცვალა, გაცნობიერებული გაქვთ, რომ საზოგადოებისგან გაორმაგებული პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ?**

— რა თქმა უნდა, ამიტომაც ვფიქრობ, თანამდებობაზე დანიშვნა მოსალოცი სულაც არ არის. დიდხანს ვფიქრობდი, დავთანხმებოდი თუ არა. რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციაში ბევრად კომფორტულად ვგრძნობდი თავს და ამ სამინისტროს ეფექტურად ვაკრიტიკებდი, თუმცა რასაც ადრე ვაკრიტიკებდი, მინდა, მინისტრთან, მთავრობის გუნდთან ერთად აქ განვახორციელო — ერთხელ და სამუდამოდ, ევროპული ტიპის პენიტენციალური დაწესებულება და პრობაციის სამსახური უნდა მივიღოთ. სამწუხაროდ, ეს დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა. დარწმუნებული ვარ, ეს სამსახური დროებითია, მაგრამ რეფორმის ჭრილში, მინისტრსა და სამინისტროსთან ერთად ქვეყანას მოვემსახურები.



# ფინანსური დარღვევები ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და 55 მილიონიანი სანქცია

*მე-5 გვერდიდან*

აქედან გამომდინარე, ამ ორ აუდიტორულ დასკვნაში ასახული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა. სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში ვკითხულობთ: **„წინა პერიოდების (2004 წლის ჩათვლით) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურმა პოლიციამ დალუქა. 2013 წლის 1 მარტს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ქარხანამ ამ დოკუმენტაციის ლუქის გახსნაზე უარი მიიღო. ამდენად, საბალანსო მონაცემების 7 672 401 ლარით შემცირება, მაღალი რისკის შემცველია და საშუალება არ გვეძლევა გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად კანონიერია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შემცირება“.**

### შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებული სანქცია

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ პასუხისმგებელი პირების მიერ, 2010-2011 წლების ანგარიშგებების არასრულყოფილად წარმოების გამო, 2013 წელს, ქარხანას ბიუჯეტის სასარგებლოდ, 55 192 200 ლარის დამატებითი სანქცია დაეკისრა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 9 დეკემბრის 081-878 სამართალდარღვევის ოქმით ირკვევა, რომ 2011 წლის 31 მარტამდე, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პასუხისმგებელ პირებს, 2010 წლის მოგების გადასახადის ყოველწლიური დეკლარაცია უნდა წარედგინათ 86 067 ლარზე; 2011 წლის 1 აპრილამდე — 2010 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 71 132 ლარზე; 2012 წლის 2 აპრილამდე — 2011 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 26 775 ლარზე, რაც 2012 წლის 29 დეკემბრამდე (ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლამდე, — ავტ.), ფაქტობრივად, წარდგენილი არ ყოფილა. ამ დარღვევის გამო, შემოსავლების სამსახურმა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას 55 192 200 ლარის დამატებითი სანქცია დააკისრა.

იმ პირობებში, როდესაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ პასუხისმგებელმა პირებმა, ქარხნის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია არ ჩაატარეს, ურთიერთშედარების აქტები არ შეადგინეს, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ქარხნის ბალანსზე რიცხული დავალიანებების ფაქტობრივი მდგომარეობა და აუდიტის პერიოდში ნაშთის ცვლილება, მაღალი რისკის შემცველია.

### კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები

საბალანსო მონაცემებით, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქარხანას მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი დებიტორული დავალიანების სახით 1 868 981, ხოლო კრედიტორული დავალიანების სახით 363 181 ლარი დაერიცხა. დებიტორული დავალიანება მიწოდებასა და მომსახურებაში გადახდილი 996 105 ლარის სახით, ავანსებში გასტუმრებული 688 377 ლარით, მოკლევადიან მოთხოვნებში გადახდილი 179 681 ლარითა და საწარმოო პერსონალის მიმართ მოთხოვნებში გადახდილი 4 818 ლარით წარმოიშვა.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დავალიანებები გაიზარდა და 2 118 508 ლარი შეადგინა. მათ შორის, მიწოდებიდან და მომსახურებიდან — 1 226 590 ლარი, გადახდილი ავანსების სახით 686 519, მოკლევადიანი მოთხოვნების სახით 180 887 და საწარმოო პერსონალის მიმართ მოთხოვნების სახით 24 512 ლარი.

კრედიტორული დავალიანება მიწოდებასა და მომსახურებაში გადახდილი 350 783 ლარით, სახელფასო ანგარიშში გასტუმრებული 11 665 ლარითა და სხვა ვალდებულებებში დარიცხული 733 ლარით წარმოიშვა. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დავალიანებები 335 361 ლარით შემცირდა, მათ შორის, მიწოდებიდან და მომსახურებიდან — 329 222 ლარით, გადასახდელი ხელფასიდან — 6 658 ლარითა და სხვა დარიცხული ვალდებულებებიდან — 129 ლარით.

ბალანსზე რიცხული დავალიანებები ძირითადად 1999-2009 წლებში წარმოიშვა, რაზეც „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ პასუხისმგებელმა პირებმა სრული ინვენტარიზაცია (აუდიტორული შემოწმება) არ ჩაატარეს და დავალიანებების მქონე პირებთან ურთიერთშედარების აქტებიც არ შეადგინეს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ქარხნის ბალანსზე რიცხული დავალიანებების ფაქტობრივი მდგომარეობა, რეალობა და აუდიტის პერიოდში ნაშთის ცვლილება, მაღალ რისკს შეიცავს.

რაც შეეხება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შემოსავლებს, სახელმწიფო აუდიტორული დასკვნის მიხედვით, 2010 წელს, ქარხნის შემოსავალი 1 568 313 ლარი იყო. მათ შორის, ძირითადი საშუალებების იჯარიდან 1 507 318, პროდუქციის რეალიზაციიდან 34 598, მომსახურებიდან 16 502, დეპოზიტიდან 6 179 და სხვა შემოსავლის სახით 3 716 ლარი.

2011 წელს, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შემოსავალი 213 567 ლარი იყო. მათ შორის, იჯარიდან 1 441, პროდუქციის რეალიზაციიდან 2 550, საპროცენტო შემოსავლიდან 3 531, ფასეულობის უსასყიდლო გადმოცემის სახით 95 021 და სხვა არასაოპერაციო შემოსავლიდან 111 024 ლარი. 2012 წელს ქარხნის შემოსავალი 12 831 ლარი იყო. აქედან იჯარის სახით, ნავთობგადამამუშავებელმა 11 133, საპროცენტო შემოსავლიდან 1 638, ხოლო სხვა არასაოპერაციო შემოსავლიდან 60 ლარი მიიღო.

აუდიტის პერიოდში, ქარხანამ მასალების რეალიზაციიდან (დღგ-ს ჩათვლით) 46 970 006 ლარი მიიღო. ქარხნის პასუხისმგებელმა პირებმა, სახელმწიფო აუდიტორებს მასალების აუქციონის საშუალებით რეალიზაციის მტკიცებულებები ვერ წარუდგინეს, რის გამოც ძნელია დადგენა, გაიყიდა თუ არა საბაზრო ფასად ეს მასალები.

აუდიტის პერიოდში გაწეული ხარჯები 2 188 713 ლარს შეადგენს. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 598 521, რეალიზებული მასალების თვითღირებულება 17 013, ძირითადი აქტივების ცვეთა 327 555, ტრანსპორტის შენახვის ხარჯები 32 250, კომუნალური და საკანცელარიო ხარჯი 128 675, საბიუჯეტო გადასახადები (ქონება, მიწა, სანქცია) — 777 306, სხვადასხვა მომსახურება 130 883, წარმომადგენლობითი ხარჯი 5 817, მარჩენალის დაკარგვის გამო გაწეული კომპენსაცია 16 899, სხვა არასაოპერაციო ხარჯი 153 794 ლარი.

# თურქ და ფერეიდნელ ქართველებს სამშობლოდან იძულებით გადაადგილებულთა სტატუსს მიანიჭებენ

## როგორ აპირებს გელა დუმბაძე ისტორიული დიასპორების საქართველოში დაბრუნებას და გართულებული სავიზო რეჟიმის გამო შექმნილი პრობლემების გადაჭრას

ნათია ნოდია

**13-18 ოქტომბერს თბილისი „გლობალურ დიასპორულ კვირეულს“ მასპინძლობს, რომელშიც საქართველოს მთავრობის, დიასპორებისა და ბიზნესმენების გარდა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, „დიასპორის ჩართულობის საერთაშორისო ალიანსისა“ და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობენ. კვირეული პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. პირველ დღეს „დიასპორის ეკონომიკურ ფორუმზე“ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან გამომდინარე მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტები და არსებული გამოწვევები განიხილეს. ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოდან გასულია ეკონომიკურად აქტიური მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთა შორის არაერთი წარმატებული ბიზნესმენია. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი კი დიასპორული ინვესტიციების მოზიდვაა. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით: „მთავრობა მზადაა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, რათა მათ განავითარონ მეწარმეობა სამშობლოში“. რას აპირებს დიასპორის სამინისტრო ღონისძიების ფარგლებში და როგორ მოუგვარებს უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას იდენტიფიკაციის პრობლემებს? „ვერსიას“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ბელა დუმბაძე ესაუბრა.**



— მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი გახდა საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსის წევრი. ეს კავშირი რამდენიმე წლის წინ ჩამოაყალიბა ჰილარი კლინტონმა, დამფუძნებლები არიან ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და 15-მილიარდიანი ფონდი „ჰელვერდ ფაუნდეიშენ“. კვირეული მათთან თანამშრომლობის ფარგლებში ტარდება. პირველი ნაწილი დიასპორის ეკონომიკური ფორუმია. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება კონფერენციები ეკონომიკის საკითხებზე. 14 ოქტომბერს უკრაინასთან სოლიდარობის ნიშნად, უკრაინის საელჩოდან თავისუფლების მოედნამდე, მარათონი მოეწყო. მომდევნო დღეებში, 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი კონფერენციები ჩატარდება თბილისსა და ჭიათურაში. ორივეგან გაიხსნება მემორიალური დაფები. მინდა, ეს ღონისძიება ტრადიციად იქცეს და დიასპორის სამინისტრომ ყოველ წელს ჩაატაროს. ჩვენი მიზანია, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს კულტურული იდენტიფიკაციის შენარჩუნებაში და საქართველოში მიმდინარე აღმშენებლობაში შევუწყოთ ხელი.

**— წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, თქვენი უწყებისთვის პრიორიტეტია აქამდე უყურადღებოდ დარჩენილ თურქ და ფერეიდნელ ქართველებთან ურთიერთობა... რამ განაპირობა ეს და კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?**

— ვერ ვიტყვი, რომ ისტორიული დიასპორები ადრე უგულებელყოფილნი იყვნენ, თუმცა ახლა მეტი ყურადღება მიექცევა. თურქეთში მივლინებაში გახლდით. 15 ქალაქი მოვიარე, დიასპორის წარმომადგენლებს შევხვდი. ისტორიულ ჰერეთში ნოემბრის ბოლოს ვაპირებ ჩასვლას და ასევე, უმოკლეს ვადაში ვეწვევი ირანს.

იქაური ქართველების პრობლემებს გავეცნობი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება, რათა ბოლოს და ბოლოს, მიენიჭოთ სამშობლოდან იძულებით გადაადგილებულთა სტატუსი.

**— იმ პრობლემებს როგორ გადაჭრით, რომლის წინაშეც ისტორიული დიასპორები გართულებულმა სავიზო რეჟიმმა დააყენა?**

— ვიზრუნებ, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ამ პროცესში სხვადასხვა კომპეტენტური სამინისტროს წარმომადგენლები ჩავრთო. შექმნილ ვითარებაში თავს იყრის მრავალი პრობლემა: სავიზო, მოქალაქეობის, განათლების... ჩვენ ვითამაშებთ პროვაიდერის როლს — დავაკავშირებთ მათ სპეციალისტებთან.

**— არსებობდა პროექტი „იმედის ქალაქი“ — საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები და ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლები სამშობლოში უნდა დასახლებულიყვნენ. პროექტი არ განხორციელდა. მის ალტერნატივაზე არ ფიქრობთ?**

— ერთობლივად ვმუშაობთ სხვადასხვა პროექტზე. მთავარი მიზანია, ქვეყანა ისე გავაძლიეროთ, თითოეული ჩვენი თანამემამულე ღირსეულად დაუბრუნდეს სამშობლოს. ვეცდებით, ყველას ავუხსნათ, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველს, რომელიც ლაპარაკობს ქართულად, რომელსაც აქვს ქართული ფესვები... უნდა ჰქონდეს კონკრეტული სტატუსი და უცხოელთან არ უნდა გავაიგივოთ.

## პატიმრის დღიური

პატიმარი №0578

# „უგონშჩიკების“ შურისძიება

## როგორ იპარავდნენ თბილისში „კრიმინალების“ მანქანებს



მაშინ, როცა თბილისში სამოქალაქო ომი იყო და წესრიგს სხვადასხვა უბანში შექმნილი საძმოები აკონტროლებდა, იყვნენ კრიმინალები, რომლებიც არც ერთ დაჯგუფებას არ მიეკედლნენ, ცალკე მოქმედებდნენ და შემოსავალიც მეტი ჰქონდათ. ეს, ერთის მხრივ, სარისკო იყო — თავზეხელაღებული საძმოების წევრები ყველაფრის გაკონტროლებას ცდილობდნენ და, თუ თავის უბანში დამოუკიდებელი კრიმინალური ბანდის არსებობას გაიგებდნენ, ანადგურებდნენ.

„დავიღალე, რა, ბიჭებო. მოვიპარავთ მანქანას, მეორე დღეს დაგვადგებიან ქურდები ან საძმოს შეფები და კაპიკებში ავაზვრატებენ. უფრო სწორად, სერიოზულ ფულში ავაზვრატებენ, მაგრამ ჩვენ იმ თანხიდან, საუკეთესო შემთხვევაში, ათ პროცენტს გვაძლევენ, რაც ძალიან ცოტაა. დამოუკიდებლად უნდა ვიმოქმედოთ. მკიდია ქურდულიც და ეგ საძმოებიც. მე ვრისკავ, ეგენი ჭამენ. ასე არ გამოვა“, — უთხრა ერთ საღამოს ლევანმა ორ მეგობარს, რომლებთან ერთად აგერ უკვე მესამოცე მანქანა მოიპარა, მაგრამ ყოველდღიური ფულიც კი საძებნელი ჰქონდა.

„რუსეთის კანალი უნდა გავჭრათ. მყავს იქ ძმაკაცები, რომლებიც აქედან ჩაყვანილ მანქანებს გაყიდიან და თანხასაც გადაიხდიან. აზერბაიჯანის კანალს გოგა ააწყობს, იცნობს ხალხს, ადგილზე კი გიო დაგვკრიშავს. სასროლი და საომარი თუ იქნება, ვისროლოთ და ვიომოთ“, — გამოაცხადა ლევანმა. გოგა და გიო დაეთანხმნენ.

მეორე დღეს, სამეულმა, საბურთალოზე „ბუტკა“ ჩადგა და გამოაცხადა, ბიზნესი დავიწყეთ, მოპარვას შევეშვითო. ერთ კვირაში თბილისის ცენტრალურ უბანში სამი მანქანა დაიკარგა. მთელი თბილისის „ბლატატა“ დადგა ფეხზე, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს — მანქანები გაქრა. ყველა მიხვდა, ქალაქში ახალი დაჯგუფება გამოჩნდა, რომელიც არც ქურდებს ითვალისწინებდა და არც კბილებამდე შეიარაღებულ საძმოებს. პოლიციაც დადგა ფეხზე, მაგრამ მანქანების კვალს ვერ მიაგნეს. ერთი კვირის შემდეგ რამდენიმე მანქანა კვლავ დაიკარგა. მათ შორის, ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების საბურთალოელი შეფის „მერსედესი“. ეს უკვე თავხედობა იყო. სამი დღის შემდეგ ვლადიკავკაზიდან დარეკეს, თქვენი „მერსედესი“ აქაურ ბიზნესმენს მიყიდეს, მაგრამ ხელს მოსკოველი კრიმინალებისკენ იშვერს, საქართველო არაფერ შუაშიაო.

„მოსკოველები თბილისში მანქანის მოსაპარად არ ივლიან, აქაურები იპარავენ და ყიდიან“, — თქვა დათო ჩ-მ. ღამე თუ პოლიცია ატარებდა რეიდს, უშუალოდ კრიმინალებმაც დაიწყეს თვალთვალი და ძვირადღირებული ავტომობილების ყარაულობა. მანქანები მაინც იკარგებოდა და შემდეგ მათ აზერბაიჯანში ან რუსეთში პოულობდნენ...

„ვიცი, ვინც იპარავს მანქანებს. ქალაქის ცნობილი პროკურორის „ჯიპზე“ გუშინ გიო იჯდა, ლევანის და გოგას ძმაკაცი. გამოდის, ეგ სამეული ჩალიჩობს და უნდა დავსაჯოთ“, — ეს საუბარი ვერაზე, ერთ-ერთ კაფეში შედგა. ქურდებს დაუძახეს, მერე საძმოების მეთაურებს და შეთანხმდნენ, რომ სამეული უნდა დასჯილიყო.

„ხომ არ გვეკითხა? არ არიან ეგენი ხელწამოსაკრავები და ასე გაუფრთხილებლად დასჯაც არ გამოვა“, — თქვა კანონიერმა ქურდმა, მაგრამ სხვები არ დაეთანხმნენ.

ლევანი, გოგა და გიო თავის „ბუტკასთან“ აბირჟავებდნენ და ამ უკანასკნელის მეგობრებს ელოდნენ. გიოს საბჭოთა ვაზ-2109 იქვე იდგა და როცა მეგობრები მოვიდნენ, აღმოჩნდა, რომ მანქანაში ლევანის და გიოს ადგილი აღარ იყო. ტაქსით წამოვალთო, უთხრეს და მართლაც, გიოს სახლისკენ ტაქსით დაიძრნენ. კორპუსთან მისვლისთანავე გიოს მანქანას რამდენიმე კაცმა ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. უკან მიმავალი ტაქსისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ყველაფერი ათ წამში დასრულდა, საცერივით დაცხრილული 09 თავდამსხმელებმა მიატოვეს და გაიქცნენ. ლევანი და გოგა მანქანას მიცვივდნენ, ექვსი ბიჭიდან ოთხი მკვდარი იყო, გიოს და კიდევ ერთს სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდათ. ტაქსით საავადმყოფოში გააქანეს. ორივე გადარჩა, მაგრამ გიო ერთი ფეხით დაკოჭლდა, ხელზე ტყვიისგან წაგლეჯილი თითიც ვეღარ მიაკერეს. ოპერაციის დასრულების შემდეგ ლევანი და გოგა მანქანაში უხმოდ ჩასხდნენ და საბურთალოს სასაფლაოსკენ აიღეს გეზი. ერთ-ერთი საფლავის ქვა გადაწიეს, ავტომატები და მჭიდები ამოიღეს, მანქანაში ჩააწყვეს და ვერაზე წავიდნენ. პირველი თავდამსხმელი სასტუმრო „საქართველოსთან“ შენიშნეს და ცეცხლი გაუხსნეს. იმ საღამოს სროლის ხმა ვერაზე კიდევ რამდენჯერმე გაისმა, დილით კი ლევანს სახლში სამი კანონიერი ქურდი ელოდა.

„ასე არ გამოვა, რა ხდება, ბიჭებო, რა ომობანა გამართეთ?! ჩვენ აქ რას ვაკეთებთ, რატომ არაფერს გვეკითხებით?!“, — ჰკითხეს ლევანსა და გოგას.

„ომი ჩვენ არ დაგვიწყია. გიო თუ მოკვდება, არავის დავინდობთ — არავის! ვინმეს რამე პრეტენზია თუ ჰქონდა, თქვენთან მოსულიყო. თქვენ კი, ახლა აქ კი არ უნდა ისხდეთ, იმათთან უნდა იყოთ, ვინც პირველად გაისროლა“, — შეუღრინა ლევანმა.

„ქურდებს ასწავლი, როგორ მოიქცნენ?!“, — იფეთქა ერთმა, მაგრამ საუბარში გოგა ჩაერია: „კი არ ვასწავლით, აზრს ვამბობთ. ამის უფლება ყველას აქვს. გიო თუ მოკვდება, თმას დავუთვლი და იმდენს გავაყოლებ უკან. მკიდია ვინ მართალია და ვინ მტყუანი. ილოცეთ, იმას არაფერი დაემართოს. თქვენ ილოცეთ, რადგან თბილისის სიმშვიდეზე პასუხისმგებლები ხართ და ამას სიმშვიდე არ ჰქვია“.

„ანუ გუშინ ღამე ორი რუსი უგონშჩიკი რომ ჩამოვიდა საქართველოში და ფაქტზე დავიჭირეთ, არ იცნობთ და ურთიერთობა არ გქონიათ?!“, — იკითხა ერთ-ერთმა.

ლევანმა და გოგამ ერთმანეთს გადახედეს და მშვიდად თქვეს — არა. მეგობრები მანქანაში ჩასვეს და ლოტკინზე აიყვანეს. მიგდებულ სარდაფში ცემისგან დაოსებული ორი რუსი ჰყავდათ გამომწყვდეული. ლევანმა მაშინვე იცნო მეგობრები, თუმცა ხმა არც ერთს არ ამოუღია.

„ამათ არ იცნობ?! ამათ გაგვიშრეს სისხლი და მანქანებს გვპარავდნენ“, — ჰკითხა დათო ჩ-მ, რომელიც ხელში ტეტე-ს სისტემის იარაღს ათამაშებდა.

„არა“, — თავი გადააქნია ლევანმა და ოთახიდან გავიდა. სროლის ხმა ორჯერ გაისმა. ორივე რუსი იატაკზე შუბლგახვრეტილი ეგდო.

* * *

2008 წლის ომამდე გიომ ახალი რესტორანი გახსნა და პრეზენტაციაზე ლევანი და გოგაც ჰყავდა დაპატიჟებული. საზეიმო განწყობა იყო, მაგრამ ლევანს უხასიათობა ეტყობოდა. ბოლოს მეგობრები დაიმარტოხელა და ჩუმად თქვა — „დათო ჩ. ხომ გახსოვთ, გაქცეული იყო, ახლა ჩამოსულა, გუშინ დავინახე ქალაქში. ისე დადის, ვითომც არაფერი“...

„შეეშვი, მაგას ბევრი მტერი ჰყავს, მოუვლიან“, — უთხრა გიომ. იმ დღეს საუბარი ასე დასრულდა.

ერთი კვირის შემდეგ ლევანმა გოგას დაურეკა, გამოდი, საქმე მაქვსო. მეგობართან მისულ გოგას უცნაური სურათი დახვდა — მაგიდას ლევანი და დათო ჩ.-ს ძმა უსხდნენ და არაყს სვამდნენ. გოგა უხმოდ შეუერთდა, ლევანს მიაშტერდა, თითქოს რაღაცას ეკითხებოდა. ის კი, ვითომც არაფერი, სვამდა და ანეკდოტებს ჰყვებოდა. სამი საათის შემდეგ ოთახში ლევანის დედა შემოვიდა და ტირილნარევი ხმით თქვა: მგონი უბედურება მოხდა, ტელევიზორი ჩართეთ.

„კურიერი“ იმით დაიწყო, რომ თბილისში თავში ერთი გასროლით დათო ჩ. მოკლეს. მკვლელობა დაახლოებით ნახევარი საათის წინ იყო მომხდარი. დათოს ძმა გაფითრდა, არაადამიანური ხმა ამოუშვა, მერე კი ლევანს და გოგას შეხედა და იკითხა — გიო სად არის?!

„გუშინ გაფრინდა გერმანიაში. ამ დილით Skype-ით ვესაუბრე. გიო რა შუაშია?! გაგიჟდი?!“, — შეუტია ლევანმა. დათოს ძმა სახლიდან შურდულივით გავარდა...

გასვენების დღეს სამივე მეგობარი იქ იყო. ხმას არცერთი იღებდა, მხოლოდ მაშინ სულ ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა ლევანს, როცა ვიღაცამ თქვა, დათოს ტეტე-ს სისტემის პისტოლეტიდან ესროლესო.

# „სკოლაში უნდა წავიდე, ესე იგი, არ მოვკვდები?!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**საქართველოში ყოველწლიურად კიბოს 7 ათასამდე ახალი შემთხვევა ვლინდება. 4 500-ს აღწევს ამ დაავადებით გარდაცვლილთა რიცხვი. მთავარი პრობლემა ავადმყოფობის მატების ტენდენცია და დაგვიანებული გამოვლინებაა. არცთუ იშვიათად, ავთვისებიანი სიმსივნით ბავშვები ავადდებიან. სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს კლინიკა-ჰოსპისი, სადაც საჭიროების შემთხვევაში, ბავშვები და მოზარდები პალიატიური მზრუნველობის ქვეშ იქნებიან. განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ პაციენტები, რომელთა მკურნალობა, თანამედროვე საშუალებებს აღარ ემორჩილება. ქვეყანაში პირველი პალიატიური კლინიკა ონკოლოგიური ცენტრის ბაზაზე 2004 წელს გაიხსნა. ჰოსპისში სულ 18 საწოლია, რის გამოც მუდმივი რიგია; საქართველოში (კავკასიის რეგიონშიც) ერთადერთი სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც ასპროცენტიანი დატვირთვით მუშაობს. ამჟამად, ყველაზე ახალგაზრდა პაციენტი 30 წლისაა.**

## საქართველოში ბავშვები და მოზრდილები სრულფასოვან პალიატიურ დახმარებას ვერ იღებენ



სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის მიუხედავად, ბავშვთა და მოზრდილთა ჰოსპისის ამოქმედება დღემდე ვერ მოხერხდა. თავის დროზე, ამისთვის ზრდასრულთა კლინიკის მესამე სართულზე განყოფილება გარემონტდა, მაგრამ შემდგომში პროგრამული დაფინანსება არ გამოიყო. დარგის სპეციალისტები სახელმწიფოს მოუწოდებენ, ბავშვთა ჰოსპისის გახსნის ვალდებულება აიღოს და გადაუდებელი საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

ლევანი ჯერ 9 წლისაა და ონკოლოგიური დაავადება აქვს. ოპერაცია, რომელიც ჩაუტარდა, სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული და უნივერსალური სამედიცინო ცენტრის (ყოფილი ონკოცენტრი) ექიმებმა სიმსივნე ამოკვეთეს. სამწუხაროდ, ყველაფერი დაგვიანებით გაკეთდა. მორფოლოგიურ დასკვნას ელოდებიან, რათა მკურნალობის საბოლოო ტაქტიკა განსაზღვრონ. თავად ლევანი კარგ ხასიათზეა, გვიცინის, რაც, ცხადია, პროფესიონალი ექიმების დამსახურებაა.

მაგდა სამედიცინო ცენტრის მეხუთე სართულზე (ბავშვთა განყოფილებაში) იმ დროს მიიყვანეს, როცა უკვე პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებოდა. განყოფილების ექთანი ეთერ წულაია გვეუბნება, რომ გოგონა ცალკე ჰოსპისში უნდა ყოფილიყო, რადგან ყოველ 3-4 საათში ნარკოტიკს აძლევდნენ. იმის მიუხედავად, რომ მაგდას დანარჩენი პაციენტებისგან იზოლირებულად, ყველანაირი მომსახურეობა გაუწიეს, მედიცინა, სამწუხაროდ, უძლური აღმოჩნდა...

როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში, ბავშვთა ონკოლოგიურ დაავადებებში ლეიკემია სიხშირით პირველ ადგილზეა — ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად 100 000-დან 5 ბავშვი ავადდება. ევროპის ქვეყნებში ლეიკემიით დაავადებული ბავშვის მკურნალობა დაახლოებით 200 ათასი ევრო ღირს, საქართველოში კი სახელმწიფო პროგრამით, ერთ ბავშვზე მხოლოდ 30 ათასი ლარი იხარჯება; მთლიანობაში 1 200 000 ლარია გამოყოფილი, რაც 40-მდე ბავშვის მკურნალობაზე ნაწილდება.

ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის იაშვილის სახელობის კლინიკაში სპეციალური სასწავლო ოთახი ფუნქციონირებს, სადაც 147-ე საჯარო სკოლის 6 პედაგოგი ასწავლის. სხვადასხვა ასაკის 30 მოსწავლეს, ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ გაკვეთილებს, მულტიდისციპლინურ გუნდსა და კლინიკის ფსიქოლოგებთან ერთად უტარებენ. პროექტის მიზანია, მკურნალობის დამთავრების შემდეგ, მაქსიმალურად კომფორტულად და სწრაფად მოხდეს რეაბილიტაცია, რათა ბავშვები საზოგადოებას სრულყოფილ მოქალაქეებად დაუბრუნდნენ.

საავადმყოფოს ონკოჰემატოლოგიის კოორდინატორის, **თამთა დემურიშვილის** განცხადებით, იდეა მაშინ დაიბადა, როცა ლეიკემიით დაავადებულმა ერთმა ბავშვმა Facebook-ზე დაწერა, სწავლა იწყება და მკურნალობის გამო სკოლაში ვერ მივდივარო. ეს ბავშვი მანამდე 2 წელი მკურნალობდა და სასწავლო პროცესს ჩამორჩა: **„ერთ კვირაში სწავლა უნდა დაწყებულიყო. ბავშვს ვუთხარი, თეთრი ხალათი ჩაიცვი, ხვალ სკოლაში მიდიხარ-მეთქი. გაოცებულმა დედას გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, მართლა უნდა წავიდეო? დედამ თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია. ესე იგი, მე არ მოვკვდები?!, — იკითხა ბავშვმა. ასეთია რეალობა. მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად, თანადგომა, პოზიტიური ურთიერთობა კურნავს და სასწაულს ახდენს. პროცესს განათლების სამინისტრო აკონტროლებს, რათა შემდეგ ბავშვმა თავისივე კლასში განაგრძოს სწავლა. უნდა ნახოთ, როგორ ელოდებიან პედაგოგების, ფსიქოლოგების მოსვლას“.**

ბავშვთა ფსიქოლოგი **მაკა მოდებაძე** ამბობს, რომ ჰოსპიტალიზაციის პირობებში მთავარი მიზანი პაციენტებისთვის თანმდევი სტრესის, ტკივილის შემცირებაა: **„ვზრუნავთ ზოგად ფსიქოემოციურ განვითარებაზე, მასალებს მათთვის გასაგებ ენაზე გადავცემთ, რომ ათვისება არ გაუჭირდეთ. პროცესი მიმართულია ტკივილისა და შიშის დამარცხებისკენ. თავად ბავშვები ისეთ სასიცოცხლო ძალასა და ენერგიას მაძლევენ, მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ძალიან ვჭირდებით და ვცდილობთ მხარდაჭერას“.**

უნივერსალური სამედიცინო ცენტრის, ბავშვთა ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **რამაზ კალმახელიძე** მძიმე კონტინგენტის გათვალისწინებით, ბავშვთა და მოზრდილთა ჰოსპისის ამოქმედების აუცილებლობაზე საუბრობს: **„ერთი ჰოსპისიც რომ იყოს თბილისში, საკმარისი იქნება. მოზრდილებსა და ბავშვებში ფსიქოლოგიური სამსახურის ამოქმედება აუცილებელია, მათ შორის ოჯახის წევრებისთვის — როცა სპეციალურ მკურნალობას შედეგი არ აქვს და სიმპტომატურ-ინტენსიური ჩარევაა საჭირო“.**

კალმახელიძე ამბობს, რომ მკურნალობა ხელმისაწვდომია, რადგან სახელმწიფო როგორც კეთილთვისებიან-ავთვისებიან წარმონაქმნს, ასევე სისტემურ დაავადებებს საყოველთაო დაზღვევით აფინანსებს, თუმცა ზოგიერთი კერძო სადაზღვევო კომპანია, გაუგებარი მიზეზებით, თანხის გამოყოფაზე უარს ამბობს: **„5 წლამდე ასაკის ბავშვებს სახელმწიფო სრულად აფინანსებს. მათ შორის, ოპერაციებსაც. ხუთ წელს ზემოთ უკვე 70-80%-იანი უზრუნველყოფაა. სოციალურად დაუცველების კატეგორიას სახელმწიფო ასევე სრულად უფინანსებს ოპერაციებს. ხშირად ამ საქმეში გამგეობებიც ერთვება, როცა პაციენტს სოციალურად დაუცველის სტატუსი არ აქვს. კლინიკის დირექციაც აქტიურობს, როდესაც „ალდაგი“ ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანია არ აფინანსებს. მდგომარეობა ბევრად უკეთესია. აჯობებს, სრული დაფინანსება იყოს ყველა ასაკის ბავშვზე და დაავადებაზე. ძვირია მედიკამენტები, რომელსაც ავთვისებიანი და სისტემური დაავადებების დროს ვიყენებთ. რემონტის დასრულებასა და პირობების გაუმჯობესებას ველით. დღეს სახელმწიფო კლინიკას წარმოვადგენთ და მთავრობა უნდა ჩაერიოს, რათა სამუშაოები დროზე დასრულდეს. ადმინისტრაცია ამას ითხოვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გვაფინანსებენ“.**

საბავშვო განყოფილების ექთანი **ეთერ წულაია** ამბობს, რომ არსებული მომსახურება დამაკმაყოფილებელზე უკეთესია: **„წინა მთავრობის დროსაც არ იყო ცუდი ვითარება, დღეს კი მეტს აკეთებენ; ყოველდღიურად მოაქვთ თბილი საჭმელი, პაციენტს არც თეთრეულის ან სხვა რამის მოტანა უწევს“.**

უნივერსალური სამედიცინო ცენტრის, პალიატიური მზრუნველობის საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი **მიხეილ შავდია** ამბობს, რომ სახელმწიფომ ვალდებულება უნდა აიღოს ბავშვთა ჰოსპისის ფუნქციონირებაზე: **„ავთვისებიანი სიმსივნე, ძირითადად, ასაკოვან მოსახლეობაში ვითარდება, სიმსივნის 90% მოდის 50 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებზე. წარმოიდგინეთ, რამხელა ნეგატივია, როცა გაიგებთ, რომ 2-3 ან 7 წლის ბავშვს კიბო აქვს. ორივესთვის მტანჯველია, მაგრამ 77 წლის ადამიანის შემთხვევაში, საზოგადოება მაინც შეგუებულია, რომ ეს ქვეყანა უნდა დატოვოს. 5 წლის ბავშვი კი, რომელიც ცხოვრებას ახლა იწყებს და უკვე ამდენი წინააღმდეგობა შეხვდა, გაცილებით დიდი ფსიქოლოგიური ტრავმისმომტანია არამარტო ოჯახისთვის. ამიტომ ბავშვთა პალიატიური მზრუნველობა უნდა განვითარდეს“.**

**მიხელ შავდია** ზოგადად ამ სფეროში არასახარბიელო მდგომარეობასა და გამოსავალზე საუბრობს: **„მსოფლიო სტანდარტით, მილიონიან მოსახლეზე, 50 საწოლი უნდა იყოს, რომ ასეთი პაციენტების დახმარება უზრუნველყონ. ჩვენნაირ განვითარებად ქვეყანაში საჭიროება უფრო მეტია. ხშირად დაავადების პროგრესირების მიზეზი ისაა, რომ პაციენტების 50%-ზე მეტი დროულად ვერ იტარებს სათანადო მკურნალობას და ექიმთან მაშინ მიდის, როცა სიმსივნე გავრცელებულია. რადიკალური მკურნალობა უკვე შეუძლებელია და პალიატიური შემამსუბუქებელი მკურნალობა უტარდებათ — გარკვეული პერიოდის შემდეგ ინკურაბელობის ანუ განკურნების პროცესში გადადიან. დღეს საქართველოში, კერძოდ თბილისში, მხოლოდ 18 საწოლია, რის გამოც ჩვენთან მუდმივად რიგებია. გაფართოება გვინდა. რამდენიმე კლინიკას პირადად მივმართე. ასეთი პაციენტებისთვის ძალიან დაბალი დაფინანსებაა და პალიატიური სამსახურის გახსნის სურვილი არავის აქვს. დღიურად გამოყოფილი 75 ლარით პაციენტებს უნდა უმკურნალო და წამლებითაც უზრუნველყო. ამ თანხაში შედის ხელფასი, კომუნალური გადასახადი... მოსახლეობის ადეკვატურად დასახმარებლად, ქვეყანაში საწოლდღეების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. მსგავსი სამსახური კავკასიაში არაა და ხშირად პაციენტები ჩრდილოეთ კავკასიიდან (კერძოდ ვლადიკავკაზიდან), აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან მოდიან. შეუძლებელია, ყველას დავეხმაროთ. დასავლეთში ქვეყნის პრესტიჟად ითვლება ასეთი დახმარება — ქვეყნის სახე ამით განისაზღვრება. 75 ლარი არაა თანხა, რომელიც კლინიკებს დააინტერესებს. მეორე მხრივ, დღეს მოქმედ „ემერჯენსს“ ძალიან მაღალი დაფინანსება აქვს (დღიურად პაციენტზე 1000 ლარი) და ამიტომ, ბევრი ორგანიზაცია გაიხსნა, სადაც მისი დეპარტამენტია. ხშირად იქ ისევ ჩვენ გვეძახიან. გადმოყვანილ პაციენტს ბევრი მომვლელი სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენთან, განყოფილებაში, დღისით სულ ორი ექიმი, ამდენივე ექთანი და ერთი სანიტარია. არ არის სათანადო კვება, რაც ამ ადამიანებისთვის აუცილებელია. ადრე ეს გათვალისწინებული იყო, მაგრამ ლარის ინფლაციის გამო მოიხსნა. პატრონს ლისის ტბიდან საკვებზე ქალაქში ჩასვლა უწევს. ხშირად პაციენტს სპეციალური, თხიერი საკვები სჭირდება, ვერ იღებს — ეს საკითხიც მოსაგვარებელია. მსოფლიო სტანდარტით, ასეთი პაციენტებისთვის აუცილებელია ფსიქოთერაპევტი, რომელიც შტატში არ გვყავს, სოციალური მუშაკი კი ამდენ პაციენტს ვერ აუდის და ძირითადად, სადაზღვევოებთან ურთიერთობების გარკვევითაა დაკავებული. სურვილის შემთხვევაში, შეგვიძლია პაციენტს ჩავუტაროთ კონსულტაცია, ბინაზე მოვლის სამსახურიც არსებობს, თუმცა იმდენად დაბალანაზღაურებადია, ვერ ვითარდება. ორი წლის წინ სამსახურის დაფინანსება შეიზღუდა და ასეთი მომსახურების ქვეშ, დაახლოებით 100 პაციენტამდე დარჩა. მანამდე მათი რიცხვი რამდენიმე ასეულამდე იყო გაზრდილი. ესეც პალიატიური მზრუნველობის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც ექიმი და ექთანი მკურნალობის უწყვეტობას უზრუნველყოფენ. თუ საჭირო გახდა, პაციენტი სტაციონარში გადაყავთ და დარეგულირების შემდეგ მომსახურება ისევ ბინაზე გრძელდება. ამ პრობლემების მოგვარება პალიატიურ მზრუნველობას სრულყოფილს გახდის“.**

ონკოლოგიური პაციენტი, რომელსაც შეუძლებელია, ჩაუტარდეს ქირურგიული, სხივური, იმუნოთერაპიული, ქიმიოთერაპიული ან სხვა სახის მკურნალობა, სხვადასხვა გართულების გამო განწირულია ტანჯვისა და წამებისთვის. ხშირად არ იციან, როგორ მართონ ესა თუ ის გართულება — ტკივილი, სუნთქვის უკმარისობა, კიდურების შეშუპება, მუდმივი დიარეა... პალიატიური მზრუნველობით პაციენტი როგორც სამედიცინო, ასევე სულიერ-ფსიქოლოგიურ, სოციალურ დახმარებას იღებს, რაც ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. წარმოვიდგინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ყველაფერი ბავშვებისთვის, მოზრდილებისთვის. ნებისმიერი საზოგადოების ცივილურობა, უპირველესად, იმით იზომება, როგორ ზრუნავს მათზე, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს, ამიტომ, სახელმწიფოს წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანაა — ქვეყანაში გააფართოვოს პალიატიური მზრუნველობის შესაძლებლობები, მათ შორის პროგრამულად დააფინანსოს ბავშვთა და მოზრდილთა ჰოსპისი.

დრო არ ითმენს — სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ავთვისებიან დაავადებათა რაოდენობა 2020 წლისთვის თითქმის გაორმაგდება და 20 მილიონს მიაღწევს. თუკი დღეს პირველ ადგილზე გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დგას, 2020 წლისთვის ონკოლოგიური დაავადებები ჩაანაცვლებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დაავადებების ძირითადი ტვირთი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება.

უნივერსალურ სამედიცინო ცენტრში ყოფნისას, მეხუთე სართულზე მშობლებმა რამდენიმე თვის ბიჭი შემოიყვანეს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი პირველადი ანალიზის შედეგს დაზაფრული ელოდებოდა. მისვლა არც მიცდია. გასაუბრებას აზრი არ ჰქონდა. ბავშვთა ონკოლოგიის განყოფილებაში შიშნარევმა მოლოდინმა დაისადგურა. უნდა გენახათ მშობლების რეაქცია, როცა სიმსივნე კეთილთვისებიანი აღმოჩნდა. უცხო გარემოში მოხვედრილი ჩვილი ატირებულ დედას ყელზე ეკვროდა. ანალიზის შედეგი განყოფილების ექთანმა, ეთერ წულაიამ ისეთი გაბრწყინებული თვალებით მახარა, როგორიც მხოლოდ ასეთ გარემოში მომუშავე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. გულდამშვიდებული გამომაცილა ცენტრის პიარმა თამარ დოლაბერიძემ — სისტემა სანდო ხელშია, მას კუთვნილის მიგება, ხელის გამართვა სჭირდება. არც ერთი ადამიანი არ უნდა დარჩეს დროული დახმარების გარეშე, რაც მედიცინის ამ დარგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 3 | | | 4 | 2 | | |
| | 8 | | 2 | | | | 7 | 3 |
| | | | 1 | | 8 | | | |
| 3 | | | | | | 6 | | |
| | | | 6 | | 2 | | | |
| | | 4 | | | | | | 7 |
| | | | 3 | | 9 | | | |
| 7 | 4 | | | | 1 | | 8 | |
| | | 9 | 4 | | | 5 | 6 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | | 5 | | | | | |
| 2 | 4 | | | | 1 | | 6 | |
| | | | | | 8 | | | 9 |
| 5 | | | 3 | | | | | |
| | 3 | 6 | | | | 4 | 9 | |
| | | | | | 6 | | | 2 |
| 9 | | | 8 | | | | | |
| | 1 | | 7 | | | | 8 | 3 |
| | | | | | 2 | | 5 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | 4 | | | |
| | | | | 2 | | | 7 | 6 |
| 5 | 3 | | | | | 4 | 2 | |
| | 6 | | | 1 | | | | 2 |
| | | 5 | | | | 7 | | |
| 4 | | | | 6 | | | 9 | |
| | 1 | 9 | | | | | 4 | 3 |
| 6 | 8 | | | 9 | | | | |
| | | | 6 | | | 8 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | | | | | | | |
| | | 9 | | 4 | | 2 | | |
| | 1 | | | | 7 | 6 | | |
| 3 | | | 8 | | | 7 | | 5 |
| | 5 | | | | | | 6 | |
| 2 | | 4 | | | 9 | | | 8 |
| | | 5 | 4 | | | | 3 | |
| | | 3 | | 2 | | 8 | | |
| | | | | | | | 7 | 4 |




# „ჭკვიანი კბილი“ გაგაკონტროლებთ

ტაივანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა „ჭკვიანი კბილი“ გამოიგონეს — ის ადამიანს საშუალებას აძლევს, აკონტროლოს საკუთარი მავნე ჩვევები. ხელოვნური კბილი განსაზღვრავს, მაგალითად, რამდენად ხშირად ეწევა მისი პატრონი, ან რომელი პროდუქტი უნდა გამორიცხოს კვების რაციონიდან. ახალი მოწყობილობა კბილის იმპლანტში მაგრდება. მასში ჩამონტაჟებულია სპეციალური გადამცემები, რომლებიც ინფორმაციას იღებს და ამ მასალას მკურნალ ექიმს გადასცემს. ახალი მოწყობილობა ჯერ კიდევ ტესტირების რეჟიმშია. ექსპერიმენტში მონაწილეებმა მოწყობილობა სხვადასხვანაირად გამოსცადეს — ღეჭავდნენ კევს, ახველებდნენ, სვამდნენ წყალს, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ... „ჭკვიანმა კბილმა“ 94%-იანი სიზუსტით დაადგინა ადამიანის მოქმედება და მიხვდა, ის ჰამბურგერს მიირთმევდა თუ საღეჭი რეზინი ედო პირში. ხელოვნური კბილის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მათი გამოგონება უსაფრთხოა როგორც მომხმარებლის, ასევე გარშემომყოფებისთვის. გადაყლაპვის შემთხვევაშიც კი არ არსებობს ზიანის მიყენების შანსი. სწავლულებს სურთ, ინოვაციური მოწყობილობა ინფორმაციას ელექტრონულ მატარებლებზეც — სმარტფონებზე ან კომპიუტერზე, „ბლუთუსის“ მეშვეობით გადასცემდეს.

# ქაღალდის ნაგლეჯით მთელი ქონება იშოვა




ავსტრალიელმა გამყიდველმა მთელი ქონება მიიღო ონლაინ-ვაჭრობაზე გატანილი ქაღალდის ნაგლეჯით, რომელზეც ერთადერთი სიტყვა The ეწერა „მწვანე კონტინენტის“ მცხოვრები საკუთარ უჩვეულო ლოტს eBay -ს აუქციონზე ყიდდა, წაწერით — „ვყიდი სიტყვას The, რომელიც A4-ფორმატის ქაღალდის ნახევზეა დაწერილი ლურჯი ბურთულიანი პასტით. ეს სიტყვა გამოიყენება ათასობით წინადადებაში“ და მაგალითად რამდენიმე წინადადებას ასახელებდა, თუმცა ამ უჩვეულო ლოტის ერთადერთ ნაკლად ასო T-ს გაცრეცილ მდგომარეობას მიუთითებდა. რამდენიმე დღის წინ, მყიდველებისგან განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე, ლოტის ფასი უკვე 40 ათას დოლარზე მეტი იყო, თუმცა რა თანხა აიღო ქაღალდის ნაგლეჯში მისმა მფლობელმა, უცნობია.

# მექსიკელებმა ვირი დააპატიმრეს

მექსიკის ჩიაპასის შტატის პოლიციელებმა ციხეში ვირი ჩასვეს, რომელსაც ადამიანებზე თავდასხმა „ედება ბრალად“. რამდენიმე დღის წინ, მოულოდნელად გაავებულმა ცხოველმა 63 წლის მოხუცი დაკბინა, მერე კი მეორე მამაკაცს გამოუდგა. სამართალდამცავთა განცხადებით, ვირი რომ დაეწყნარებინათ, ექვსი ადამიანის დახმარება დასჭირდათ. აბუნტებული ცხოველი დროებით ადგილობრივ ციხეში დაამწყვდიეს, რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი, მთვრალი ადამიანებისთვის იყენებენ. პოლიციელთა თქმით, ვირი ციხეში მანამდე დარჩება, ვიდრე მისი პატრონი დაზარალებულების მკურნალობის ხარჯს არ გადაიხდის.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 4 | 8 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 |
| 9 | 5 | 8 | 2 | 6 | 1 | 7 | 4 | 3 |
| 5 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 4 | 3 | 6 |
| 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 6 | 4 | 9 | 5 | 1 | 2 | 3 | 7 | 8 |
| 3 | 8 | 2 | 6 | 7 | 9 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 7 | 5 | 3 | 8 | 4 | 6 | 9 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 6 | 4 | 5 | 1 | 2 | 9 | 8 | 7 | 3 |
| 1 | 3 | 2 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 | 4 |
| 8 | 7 | 4 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 5 |
| 5 | 6 | 1 | 7 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 |
| 3 | 2 | 9 | 5 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 |
| 2 | 9 | 8 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 7 |
| 4 | 1 | 6 | 3 | 9 | 7 | 2 | 5 | 8 |
| 7 | 5 | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 4 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 6 | 1 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 | 1 | 4 |
| 1 | 8 | 4 | 5 | 2 | 9 | 6 | 3 | 7 |
| 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 | 2 | 3 |
| 4 | 7 | 1 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 | 9 |
| 3 | 5 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 | 4 | 6 |
| 2 | 1 | 7 | 4 | 9 | 5 | 3 | 6 | 8 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 | 2 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 6 | 7 | 5 | 9 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 5 | 2 | 7 | 1 | 9 | 4 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 8 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 5 | 4 | 7 | 6 | 8 |
| 3 | 2 | 1 | 6 | 4 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 5 | 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 7 | 6 | 1 | 8 | 5 | 3 | 9 | 2 |
| 1 | 3 | 7 | 9 | 2 | 8 | 4 | 5 | 6 |
| 9 | 6 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 8 | 5 | 2 | 4 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 9 | 6 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 |
| 8 | 4 | 3 | 5 | 2 | 7 | 1 | 9 | 6 |
| 7 | 1 | 6 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 9 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 3 | 2 | 7 | 6 | 4 | 9 | 1 | 8 |
| 6 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 4 | 5 | 1 | 2 | 8 | 9 | 3 | 6 | 7 |
| 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 1 | 5 | 7 | 2 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 5 | 1 | 2 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 8 |
| 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 8 | 4 | 9 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 | 5 |
| 4 | 3 | 8 | 7 | 5 | 1 | 9 | 2 | 6 |
| 1 | 2 | 6 | 8 | 3 | 9 | 4 | 5 | 7 |
| 9 | 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 8 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 9 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 4 |
| 1 | 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 3 | 8 | 2 |
| 2 | 4 | 8 | 5 | 1 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 8 | 1 | 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 5 | 3 |
| 9 | 5 | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | 2 | 7 |
| 4 | 2 | 3 | 7 | 6 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 9 | 4 | 2 | 5 | 7 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 8 | 2 | 1 | 4 | 9 | 7 | 3 | 5 |
| 5 | 7 | 1 | 8 | 3 | 6 | 2 | 4 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 6 | 2 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 |
| 1 | 9 | 4 | 3 | 2 | 5 | 8 | 7 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 5 | 6 | 4 | 9 | 8 | 2 |
| 9 | 8 | 6 | 7 | 3 | 2 | 1 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 3 | 7 |
| 7 | 1 | 9 | 4 | 5 | 8 | 2 | 6 | 3 |
| 4 | 6 | 8 | 2 | 9 | 3 | 7 | 1 | 5 |
| 2 | 3 | 5 | 1 | 7 | 6 | 4 | 9 | 8 |

მე-10 გვერდი: 1. შურდული; 2. ვერმუტი; 3. შანდალი; 4. რეიდი; 5. „ულისე“; 6. ირიდა; 7. ვანგა; 8. რეგვენი; 9. ურანია; 10. ისარი; 11. ინფინიტი“; 12. დოსიე; 13. ნუარე; 14. ვუალი; 15. ანაგრამა; 16. დინამიკა; 17. ნეაპოლი; 18. ტკიპა; 19. ალო; 20. ადენიტი; 21. პავიანი; 22. ჰარპია; 23. ავენიდა; 24. თმა; 25. კაენი; 26. ისპაჰანი; 27. ჰეგემონია; 28. პაპი; 29. სევერინი; 30. იარალი; 31. ნინო; 32. ჰიჩკოკი; 33. გულივერი; 34. ავიზო; 35. პოლი; 36. ჩილე; 37. ამაო; 38. ირემი; 39. ძმარი; 40. სოს; 41. პინა; 42. სიმი; 43. პია; 44. კატო; 45. ქვისლი; 46. მორიაკი; 47. ტატი; 48. ავრორა; 49. ასპასია; 50. აინი; 51. კეტი; 52. იფი; 53. საზი; 54. რომი; 55. პა; 56. ბატატი; 57. ერა; 58. ოფორტი; 59. სასა; 60. ვიზა; 61. მინდი; 62. აბრაგი; 63. ინია; 64, ჭიპი.

მე-12 გვერდი: 1. ზვირთი; 2. ვალიადოლიდი; 3. რაქიტი; 4. ფრენჩი; 5. „რიგოლეტო“; 6. ნუნცია; 7. ფლოქვი; 8. ილიონი; 9. ტოტია; 10. აგონია; 11. უსამი; 12. ზვარე; 13. ადლი; 14. ლუიზა; 15. სეგედი; 16. ესავი; 17. ქლორელა; 18. იო; 19. სტრიტი; 20. არე; 21. იამალი; 22. გედი; 23. ატა; 24. ადიჯე; 25. გენი; 26. გუდასტვირი; 27. დევტერაგონისტი; 28. ათენი; 29. გრიმო; 30. იზოტოპი; 31. ნიუ; 32. აკრა; 33. ემი; 34. ლაბა; 35. ოდილია; 36. „დავითი“; 37. იერი; 38.  იგავი; 39. ქრიზე; 40. სტეინიცი; 41. ირმინგერა; 42. ქალაქ; 43. როჯერ; 44. სხივი; 45. რეიგანი; 46. ჩაი; 47. ატელანა; 48. ტატო; 49. ამური; 50. ბალისტა; 51. ოხრა; 52. რა; 53. მაცა; 54. უნიკუმი; 55. ფიფქია; 56. ჩხიკვი; 57. ინუიტი; 58. დინგი; 59. ტატამი; 60. ამინ; 61. აპია; 62. მანტია; 63. „ქლოე“; 64. აგრონომია; 65. ალბა; 66. იენა; 67. მაია; 68. არგანი; 69. ბუბა; 70. ნისტაგმი; 71. ურა; 72. აჩუ; 73. ბახი; 74. ბეკარი; 75. აარე; 76. პენტა; 77. ბინომი; 78. პაი; 79. ადენომა; 80. ბატი; 81. ილი; 82. ბრი; 83. ილია; 84. ბლუ; 85. ჩალა.

1. სიბნელის აკვიატებული შიში
2. მოთხილამურის ფეხსაცმელი
3. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
4. მალარიის სამკურნალო წამალი
5. ძვირფასი სარეწაო თევზი
6. სასვენი ნიშნების დასმის წესები
7. კრემიანი ნამცხვარი
8. სილვესტერ სტალონეს შინაურული სახელი
9. კათოლიკური ტაძრის წინამძღვარი
10. ესპანეთის საპორტო ქალაქი
11. იანვრის ძველქართული სახელწოდება
12. ძროხისებრთა ოჯახის ცხოველი
13. თხების ჯოგი
14. რაიმე საბუთის მეორე პირი
15. მდინარე ყაზახეთში
16. ტელეფონის გამომგონებელი
17. ინდოელი ქალის ეროვნული სამოსი
18. მე-18ს-ის იტალიელი ფერმწერი
19. საქონლის შესაფუთი ჭურჭელი
20. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
21. თარსი რიცხვი
22. საჭმელების მომზადების სპეციალისტი
23. ვაზების მწკრივი ვენახში
24. მასობრივი კრება საჭირბოროტო საკითხებზე
25. უნგრული სადესერტო ღვინო
26. ქალაქი იაპონიაში
27. სასვენი ნიშანი
28. აგამემნონის და მენელაეს მამა
29. კლოუნის პირველი გამოსვლა ცირკის არენაზე
30. მდინარე ავსტრიაში
31. იგივეა, რაც ამინდი
32. იგივეა, რაც ჭიკარტი
33. მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელი
34. ლუდოვიკო XIV-ის თიკუნი
35. წყალქვეშა კლდე
36. თავისუფ. ფორმის ნარკვევი
37. ქალაქი ჩეხეთში
38. დიდი ზომის მღრღნელი
39. მადრიდის საფეხბურთო კლუბი
40. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
41. ერთ-ერთი „სიცივის პოლუსი“ პლანეტაზე
42. სამიდან ერთ-ერთი უზენაესი ღმერთი ინდუიზმში
43. ჩოგბურთში: ქულა, რომელსაც უშუალოდ ბურთის ჩაწოდებიდან იგებენ
44. იგივეა, რაც ფირნიში
45. სახელმწიფო აფრიკაში
46. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
47. განხეთქილების ქალღმერთი ბერძ. მით.
48. ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი, ოლიმპიური რეკორდის მფლობელი სიგრძეზე ხტომაში
49. სახის მანჭვა განზრახ ან უნებლიეთ
50. პატარა ჭრელი მგალობელი ჩიტი
51. ინგლისური ტრადიციული ლუდი
52. აშშ-ის პრეზიდენტი ... ობამა
53. ქალაქი დიდ ბრიტანეთში
54. საბანაოდ განკუთვნილი ჭურჭელი
55. სერბი რომანტიკოსი პოეტი
56. ფრანგი ფეხბურთელი ... კანტონა
57. შარლოტა ბრონტეს „... ეირი“
58. სოფლის მამასახლისის თანაშემწე
59. „უთავო მხედრის“ ავტორი
60. ჩრდ. ამერიკაში მობინადრე შავი დათვი
61. დონიცეტის ოპერა „... დი ლამერმური“
62. ბერძნული ანბანის მეორე ასო
63. ინგლისური ანბანის ასო
64. ბევრი და უაზრო ლაპარაკი
65. ქალისადმი მიძღვნილი სასიყვარულო შინაარსის მცირე ზომის ლექსი
66. კაბის ქვედა ნაწილი
67. ქვეყანა ცენტრალურ ამერიკაში (ტირეს გარეშე)
68. ერთეულოვანი ვექტორი
69. მოგზაური ნიკოლოზ მიკლუხო-...
70. კეთილშობილი, დიდსულოვანი ადამიანი
71. ნაკურთხი წყალი
72. შვიდის მომდევნო რიცხვი
73. ზანქის ფიგურა
74. პეპი გრძელიწინდას მეგობარი გოგონა
75. მუსიკალური გამის მე-ორე ნოტი
76. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
77. მდინარე შუა აზიაში
78. საბერძნეთის კუთვნილი ყველაზე დიდი კუნძული
79. რუსული როკ-ჯგუფი
80. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
81. ჯაყო ჯივაშვილის ეროვნება
82. თუთიყუშის ჯიში
83. მაუგლის მეგობარი პითონი



# კონტრაცეპტივი მამაკაცებისთვის



ამერიკელი სპეციალისტები მამაკაცებისთვის გრძელვადიანი კონტრაცეპტივის შექმნაზე მუშაობენ, რომლის დროსაც პრეზერვატივის გამოყენება აღარ იქნება საჭირო. ამჟამად პრეპარატი ცდის პროცესშია და თუ მომავალშიც ყველაფერი წარმატებით ჩაივლის, უკვე ორი-სამი წლის შემდეგ აფთიაქშიც გამოჩნდება. სიახლე კი პოლიმერული ჰიდროგელია, რომელიც სათესლე ნაკადში შეჰყავთ და რომელიც სპერმის გამოსვლას უშლის ხელს. სწავლულების თქმით, პროცედურა ეფექტურია ვაზექტომიის მსგავსად, თუმცა არ საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას და შესაბამისად, ღირებულებაც არ იქნება დიდი. მთავარი კი, გელის ინექცია — კონტრაცეპციის არც ისეთი რადიკალური მეთოდია, როგორიც ოპერაცია. თუკი მამაკაცს სურვილი ექნება, ბავშვის ყოლის უნარი დაიბრუნოს, საკმარისია, მეორე ინექცია გაიკეთოს, უკვე სხვა გელით, რომელიც პირველს გახსნის და ნაკადს გაათავისუფლებს. ჯერჯერობით ცდები მხოლოდ პავიანებზე ჩატარდა და კვლევა არ დასრულებულა. თუმცა, ექვსი თვის განმავლობაში არც ერთი დედალი პავიანი არ დაორსულებულა. თუ წლის ბოლომდე სხვა გვერდითი მოვლენები არ განვითარდება, სპეციალისტები ცდების ჩატარებას ადამიანებზე აპირებენ.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | 3 | | | | 8 |
| | | | 1 | | 6 | 5 | | |
| | 3 | | | | 2 | 7 | | |
| | | 9 | | | 8 | | | 5 |
| | 2 | | | | | | 4 | |
| 1 | | | 4 | | | 9 | | |
| | | 7 | 3 | | | | 9 | |
| | | 6 | 5 | | 9 | | | |
| 8 | | | | 4 | | 1 | | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | | 3 | | |
| 2 | | | | | 7 | 6 | | 4 |
| | | | 9 | | | | 8 | 7 |
| 8 | | 6 | | | | | 3 | 2 |
| | | 5 | | | | 9 | | |
| 9 | 3 | | | | | 7 | | 5 |
| 5 | 7 | | | | 3 | | | |
| 4 | | 9 | 2 | | | | | 3 |
| | | 8 | | | 6 | | | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | | | | | | | 2 |
| | | | | 2 | | | | |
| | 3 | 2 | | 8 | 7 | | 6 | |
| | | 1 | | | | | 8 | |
| 6 | | | 1 | | 4 | | | 3 |
| | 2 | | | | | 9 | | |
| | 6 | | 2 | 4 | | 3 | 1 | |
| | | | | 3 | | | | |
| 9 | | | | | | | 7 | 4 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 8 | | | | | 4 |
| 4 | 3 | 9 | | | 7 | | | 2 |
| | | | | | | 1 | | |
| | | | | 9 | | 7 | 1 | |
| 7 | | 1 | 4 | 6 | 8 | 9 | | 3 |
| | 5 | 8 | | 3 | | | | |
| | | 4 | | | | | | |
| 1 | | | 3 | | | 6 | 8 | 9 |
| 8 | | | | | 2 | | 4 | |

## გრიპისგან შარფი დაგვიცავს



ამერიკელი გამომგონებლების ჯგუფმა გრიპისა და სხვა ინფექციებისგან დამცავი შარფი შექმნა. აქსესუარი შემუშავდა მედიკოსებთან თანამშრომლობით და შეუძლია მფლობელი ჰაერში არსებული მავნე ქიმიური ნაერთებისგან დაიცვას. სიახლეს Scough უწოდეს — ეს ქსოვილის ნაჭერია, რომელიც კისერსა და სახის ქვედა ნახევარს ფარავს. შარფში ნიღაბია ჩაკერებული სადეზინფექციო ფილტრით, რომლის შეცვლაც ყოველ სამ თვეშია საჭირო. სიახლე უკვე ონლაინ-გაყიდვაშია და მათი ფასი 29-დან 69 დოლარამდე მერყეობს. თავდაპირველად ავტორებს სურდათ, ჩვეულებრივი ერთჯერადი ქირურგიული ნიღბები გამოეყენებინათ, მაგრამ ცდებისას ისინი არაეფექტური აღმოჩნდა. გამომგონებლებმა მედიკოსებთან ერთად საკუთარი ნიღაბი-ფილტრი შექმნეს, რომელიც კოლოიდური ვერცხლით გაჯერებული აქტივირებული ნახშირია. შარფი კი მას შემდეგ მოიფიქრეს, რაც მეტროთი მგზავრობისას დააფიქსირეს, რომ ბევრი მგზავრი სახეს შარფით იფარავდა, რათა არ დაინფიცირებულიყო.

## ინტერნეტნარკომანებისთვის კლინიკა გახსნეს



აშშ-ს პენსილვანიის შტატში, ცენტრალური ფსიქიატრიული საავადმყოფო პირველი სამკურნალო დაწესებულება გახდება, რომელიც ინტერნეტდამოკიდებულ პაციენტებს მიიღებს. კლინიკა უკვე მზადაა პირველი ავადმყოფების მისაღებად, რომლებსაც 10-დღიან სამკურნალო კურსს სთავაზობენ. პროგრამა კოგნიტიური ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა იმ მეთოდოლოგიით შეიმუშავეს, რაც ალკოჰოლიზმისა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის შემთხვევაში გამოიყენება. პროგრამა ჯგუფურ მეთოდს — ერთდროულად 4 პაციენტის მკურნალობას ითვალისწინებს, სამკურნალო დაწესებულებაში ისინი ლოთებისა და ნარკომანების გვერდით მოთავსდებიან. პროგრამა განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვინც ინტერნეტდამოკიდებულების გამო, ვირტუალურ რეალობას თავს ვერ აღწევს და ყოველდღიურ ცხოვრებას ვერ აკონტროლებს. სპეციალისტები დახმარებას სთავაზობენ მათ, ვინც ინტერნეტის გამო მოწყვეტილია ყოველდღიურ საქმიანობას, თავის დაღწევა უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს. 10-დღიანი კურსის ღირებულება 14 ათასი დოლარია და ჯერჯერობით, მას ამერიკაში მოქმედი არც ერთი სადაზღვევო პაკეტი არ ანაზღაურებს.

## გარდაცვლილებს გააცოცხლებენ



უახლოეს მომავალში რეანიმატოლოგი-მედიკოსები შეძლებენ, სიცოცხლე დაუბრუნონ ადამიანებს, რომლებიც 24 საათის წინ გარდაიცვალნენ. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელი იქნება სამი დღის გარდაცვლილის გაცოცხლებაც. ადრე სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ტვინი, გულის გაჩერების შემდეგ, მხოლოდ ხუთი წუთი ცოცხლობდა, მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დაადგინეს, რომ სწორი რეანიმაციისას, ადამიანის ტვინის უჯრედები გაცილებით მეტ ხანს ცოცხლობს. მეცნიერები ექიმებს სთავაზობენ, ადამიანის სხეული 32 გრადუსამდე გააციონ — ასეთ ტემპერატურაზე ფერხდება ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებების გამომუშავება და უჯრედების კვდომა, ტვინს კი ნაკლები ჰაერი სჭირდება, რისი წყალობითაც ის სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს.

**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

## წამწამების ტუში სიბრმავეს იწვევს



დიდი ბრიტანეთის თვალის კლინიკის სპეციალისტები აცხადებენ, რომ მართალია, წამწამების ტუში მანდილოსნებს მომხიბვლელ გამოხედვას ანიჭებს, თუმცა, როგორც ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, ეს კოსმეტიკა სიბრმავის წარმოშობის მიზეზიც შეიძლება გახდეს. კვლევების მიხედვით, ქალები თავს საფრთხეში იგდებენ, როცა ვადაგასულ ტუშს იყენებენ. გამოკითხვისას რესპონდენტთა 70%-მა აღიარა, რომ ისე ხმარობდნენ ტუშს და თვალის ფანქარს, არ იცოდნენ, ოთხი თვე ვადაგასული რომ იყო. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ გამოკითხვაში მონაწილეთა ორი მესამედი ვადაგასულ ტუშს ერთი წლის განმავლობაში იყენებდა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც ისეთ კოსმეტიკურ საშუალებას ხმარობდა, რომლის ვადაც უკვე 10 წლის გასული იყო. უფრო მეტიც, რესპონდენტი ქალბატონების 20%-ს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მაკიაჟის საშუალებებს საერთოდ ვადა ჰქონდა. ვადაგასულ დეკორატიულ კოსმეტიკას შეუძლია, უარეს შემთხვევაში, ალერგია გამოიწვიოს. თუმცა, სწავლულები აცხადებენ, რომ საქმე გაცილებით რთულად არის. თხევადი კოსმეტიკური საშუალებები ბაქტერიების გამრავლების საუკეთესო წყაროა. მათი გამოყენებით პათოგენური მიკროორგანიზმებით ინფიცირება ხდება. სპეციალისტები ყველა მანდილოსანს მოუწოდებენ, აუცილებლად შეამოწმონ კოსმეტიკის ვარგისიანობის ვადა და ის თბილ ადგილას არ შეინახონ.




# გამარჯვებული 30 კომპანია

- ავერსი ფარმა
- ბაზის ბანკი
- GWP-ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ
- GULF-გალფი
- DWC - გომი
- ვაგონმშენებელი ჰოლდინგი
- ვისოლი
- ვითიბი
- ზედაზენი
- თეგეტა მოტორსი
- თიბისი ბანკი
- კოდა
- ლიბერთი ბანკი
- ნიკორა
- NCC-ასკ
- ორბი ჯგუფი
- პსპ
- პეტროკასი
- RMG-არემჯი
- რუსთავის აზოტი
- რუსთავის მეტალურგიული
- საქართველოს ბანკი
- სარაჯიშვილი
- საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
- სმარტი
- სოკარი
- ჯეოსელი
- ჯეოსტილი
- ჯეოპლანტი
- ჯორჯიან ამერიქან ელოისი



## ოროსნებს მათემატიკას 18 წლამდე შეასწავლიან

ბრიტანელ ოროსნებს დაავალდებულებენ, მათემატიკა 18 წლამდე ისწავლონ. სიახლე იმ მოსწავლეებს შეეხება, ვინც ინგლისური ენის გამოსაშვებ გამოცდაზე დადებით შეფასებას ვერ მიიღებს. აქამდე ბრიტანელ მოსწავლეებს შეეძლოთ, ისე დაემთავრებინათ სკოლა, რომ მშობლიურ ენასა და მათემატიკაში მინიმალური ცოდნაც არ გამოემჟღავნებინათ. ახლა, ოროსანი მოწაფეები 11 წლის ზევით, ვალდებულები იქნებიან, გააგრძელონ სწავლა ამ დისციპლინებში 18 წლამდე. ამ ახალი წესებით, ბრიტანეთის ხელისუფლება ცდილობს, მოზარდებს სწავლა აიძულოს, რათა შემდგომში სამუშაოს პოვნა გაუადვილდეთ.

## ძაღლის „წამებისთვის" დააჯარიმეს



სინგაპურელი როი ჩუნგი 5 ათასი სინგაპურული დოლარით (3921 დოლარი) დააჯარიმეს იმის გამო, რომ საკუთარი ძაღლი აივანზე დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა ჩაკეტილი და ცხოველს „ტანჯვა მიაყენა". ბორდერ-კოლის ჯიშის ძაღლი, დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში, დღეში ექვსი საათით მაინც იყო აივანზე ჩაკეტილი, როცა გარეთ ცხელოდა ან წვიმდა. ძაღლის მფლობელი აცხადებს, რომ არ დაფიქრებულა ოთხფეხა მეგობრის ტანჯვაზე, რადგან ის არაფრით გამოხატავდა და სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა. მოსამართლემ კი ბრალდებულს განუცხადა, რომ ძაღლის კეთილდღეობა არ არის დამოკიდებული იმაზე, ჯანმრთელია თუ არა და დაეთანხმა ვეტერინარებს, რომ ცხოველს შეიძლება სტრესი გადაეტანა ატმოსფერული მოვლენების დროს და ეს მისდამი სასტიკი მოპყრობის ტოლფასია. სასამართლომდე საქმე მეზობლების წყალობით მივიდა, რომლებიც ძაღლის ყეფამ შეაწუხა. მათ ცხოველთა დაცვის სამსახურში დარეკეს და განაცხადეს, რომ ძაღლი ყოველდღე აივანზე იმყოფება.



## ტყვიაგაუმტარ დივანს ყიდიან

ამერიკულმა კომპანიამ Charles Alan Inc. შეიმუშავა მსოფლიოში პირველი, ტყვიაგაუმტარი დივანი, მასში ჩამონტაჟებული იარაღის შესანახი სეიფით. სიახლე, რომელსაც ავტორებმა Couch Bunker უწოდეს, არსებითად, ჩვეულებრივ დივანია და პირდაპირი დანიშნულებით გამოიყენება. მხოლოდ დამატებით ოპციად დაფარული სეიფი აქვს, სადაც მთელი არსენალი ჩაეტევა. უფრო მეტიც დივნის ბალიში ასევე ტყვიაგაუმტარია და შეუძლია ახლოდან ნასროლი „მაგნუმის" 44-კალიბრის ტყვია შეაკავოს. ბალიში შეიძლება ფარის რანგში გამოიყენოთ, თუ სახლში მოულოდნელად თავს დაგესხმებიან. დიდ ბრიტანეთში სადაც დიდად არ არიან გატაცებულნი იარაღით, დივნის ფასი — 6 ათასი დოლარი, წარმოუდგენლად დიდი მოეჩვენებათ, შეერთებულ შტატებში კი, სადაც შეიძლება ითქვას, „იარაღის ეპიდემიაა", ალბათ გაყიდვების ჰიტი გახდება. მწარმოებელი აცხადებს, რომ შეკვეთით ასეთ დივანს კლიენტს 6-8 კვირაში დაუმზადებს.


ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699
9 771987 869003



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.